



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის
(საქსტატი) 2014 წლის საქმიანობის ანგარიში

შინაარსი

კანონმდებლობა და მეთოდოლოგია - - - - -	3
ორგანიზაციული სტრუქტურა და სამტატო განრიგი - - - - -	11
2014 წლის ბიუჯეტი - - - - -	13
მოსახლეობის საყოველთაო აღწერა - - - - -	21
2014 წელს განხორციელებული ცვლილებები - - - - -	25
საერთაშორისო თანამშრომლობა - - - - -	38
გეგმები 2015 წლისთვის - - - - -	41

კანონმდებლობა და მეთოდოლოგია

კანონმდებლობა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სტატისტიკის წარმოებისა და სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელების მიზნით შექმნილ დაწესებულებას, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს დამოუკიდებლად.

სამსახური შექმნილია და საქმიანობას წარმართავს “ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” 2009 წლის 11 დეკემბრის საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე 2013 წლის 31 დეკემბერს საქართველოს მთავრობის №406 დადგენილებით დამტკიცებული “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულების” თანახმად (საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნულ დადგენილების მიღებამდე საქსტატის დებულებას ამტკიცებდა საქართველოს პრეზიდენტი), სამსახური თავის საქმიანობაში ასევე ხელმძღვანელობს 1999 წლის 28 მაისის საქართველოს კანონით “საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ”.

“ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად საქსტატის საქმიანობა ეფუძნება ოფიციალური სტატისტიკის ძირითად პრინციპებს:

- **პროფესიული დამოუკიდებლობა** – სტატისტიკის წარმოება და მისი წარმოების შედეგად მიღებული ინფორმაციის გავრცელება უნდა განხორციელდეს პოლიტიკური ან/და დაინტერესებული ჯგუფების გავლენისგან დამოუკიდებლად;

- **ობიექტურობა** – სტატისტიკის წარმოების და მისი წარმოების შედეგად მიღებული ინფორმაციის გავრცელებისას დაცული უნდა იქნეს სისტემატურობა, საიმედოობა და მიუკერძოებლობა, რაც გულისხმობს სტატისტიკის წარმოებას პროფესიული და ეთიკური სტანდარტების საფუძველზე, აგრეთვე განხორციელებული პოლიტიკისა და პრაქტიკის გამჭვირვალობას, ყველა მომხმარებლისთვის სტატისტიკური მონაცემების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას;

- **სანდოობა** – სტატისტიკის წარმოება უნდა განხორციელდეს სწორად, ზუსტად და თანმიმდევრულად, რაც გულისხმობს სტატისტიკური სტანდარტების, მეთოდოლოგიისა და რესურსების შესარჩევად მეცნიერული კრიტერიუმების გამოყენებას, აგრეთვე სტატისტიკის წარმოებისათვის გამოსაყენებელი მეთოდოლოგიის საჯაროობას;

- **სტატისტიკური მონაცემების კონფიდენციალობა** – დაცული უნდა იქნეს დაკვირვების ერთეულთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც შეგროვდა სტატისტიკური მიზნით, ადმინისტრაციული თუ სხვა წყაროებიდან. აკრძალულია ამ ინფორმაციის არასტატისტიკური მიზნით გამოყენება ან მისი უკანონო გავრცელება;

- **ეფექტიანობა** – სტატისტიკის წარმოებისათვის საჭირო დანახარჯი უნდა იყოს შედეგის მნიშვნელობისა და მიღებული სარგებლის პროპორციული.

საქსტატი წარმოადგენს საქართველოს სტატისტიკის სისტემის მაკოორდინირებელ დაწესებულებას. კანონის თანახმად, საქსტატი უზრუნველყოფს ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელ ორგანოებთან კოორდინირებულ მუშაობას, გასცემს რეკომენდაციებს სტატისტიკის წარმოებისათვის საჭირო სტატისტიკური სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის შესახებ, ახორციელებს სტატისტიკის წარმოების მიზნით ადმინისტრაციულ ორგანოებში არსებული ინფორმაციის გაცვლის კოორდინაციას და ხელს უწყობს დამტკიცებული სტატისტიკური სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის დანერგვას.

“ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, საქსტატის აღმასრულებელ დირექტორს ევალება სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის შემუშავება და დასამტკიცებლად საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა. სტატისტიკური სამუშაოების პროგრამა განსაზღვრავს წლის განმავლობაში საქსტატის მიერ ოფიციალური სტატისტიკის წარმოებას შესაბამისი მონაცემების, პერიოდულობის და გამოქვეყნების ვადების მითითებით. შესაბამისად, სტატისტიკური სამუშაოების 2014 წლის პროგრამა დამტკიცებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის №41 განკარგულებით.

სტატსამუშაოთა პროგრამის საფუძველზე, საქსტატი უფლებამოსილია ადმინისტრაციული ორგანოებისაგან და სხვა ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან მოითხოვოს და მიიღოს თავისი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ყველა სტატისტიკური და სხვა ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური).

ადმინისტრაციული ორგანოები ვალდებული არიან მოთხოვნის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მიაწოდონ საქსტატს მათ ხელთ არსებული ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური) ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების შესახებ.

სტატისტიკური მონაცემები საჯაროა, გარდა იმ მონაცემებისა, რომლებითაც შესაძლებელია დაკვირვების ერთეულის იდენტიფიცირება.

ძირითადი სამართლებრივი აქტები, რომლითაც საქსტატი 2014 წელს ხელმძღვანელობდა, შემდეგია:

1. “საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ” 1999 წლის 28 მაისის საქართველოს კანონი;
2. “ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” 2009 წლის 11 დეკემბრის საქართველოს კანონი;
3. საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 1 თებერვლის №72 ბრძანებულებით დამტკიცებული “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულება”;
4. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის №41 განკარგულებით დამტკიცებული “სტატისტიკური სამუშაოების 2014 წლის პროგრამა”;
5. საქსტატის საბჭოს 2010 წლის 17 თებერვლის №3 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საბჭოს დებულება.

საქსტატი ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის წინაშე და ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, საქსტატი ყოველწლიურ ანგარიშს წარუდგენს საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტს.

2014 წელს საქსტატმა მოამზადა და წლის ბოლოს საქართველოს მთავრობასთან შესათანხმებლად წარადგინა “ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი. კანონპროექტის მომზადება აქტუალური გახდა საქსტატის საქმიანობის პრაქტიკიდან, აგრეთვე სტატისტიკის, როგორც დარგის დინამიურობიდან და მისი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე. წარმოდგენილი ცვლილებების შედეგად, ოფიციალური სტატისტიკის წარმოების სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული აქტი იქნება უფრო მეტად დაახლოებული ევროპული სტატისტიკის წარმოების პრინციპებთან და მეთოდებთან. დააკმაყოფილებს სტატისტიკის წარმოების საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს და მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ეროვნული სტატისტიკური სისტემის სტატისტიკის მსოფლიო სისტემაში მჭიდრო და ეტაპობრივი ინტეგრირების პროცესს. კანონის ცვლილებების პროექტში ნაწილობრივ გათვალისწინებულია ევროსტატის მიერ საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის სისტემის 2013 წლის გლობალურ შეფასებაში აღნიშნული შენიშვნები და რეკომენდაციები. ასოცირების შესახებ შეთანხმების 289-ე მუხლში აღნიშნულია, რომ: „ძალისხმევა მიმართული იქნება საქართველოს სტატისტიკის კანონმდებლობის ევროკავშირის სტატისტიკის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანაზე, საქართველოს სტატისტიკის სისტემის განვითარების გათვალისწინებით“.

ამ მიზნით, კანონპროექტი ითვალისწინებს ისეთ ცვლილებებს როგორცაა გაეროს სტატისტიკის ფუძემდებლური პრინციპების ასახვა კანონში, საქსტატის საბჭოს წევრთა შერჩევა ღია კონკურსის წესით; სტატისტიკური ინფორმაციის წარდგენის ვალდებულების შემოღება მეწარმე ფიზიკურ და იურიდიულ პირთათვის; მოსახლეობის აღწერის ჩატარების პერიოდულობა და მოსამზადებელი სამუშაოების ვადის განსაზღვრა და სხვა.

კანონპროექტით გათვალისწინებულია სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც, ვიმედოვნებთ, ხელს შეუწყობს სტატისტიკურ საქმიანობას, შედეგად, სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხის ზრდას, მეწარმე სუბიექტების მიერ სტატისტიკური კვლევისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის დროული წარდგენის უზრუნველყოფას. მეტად იქნება დაცული ბალანსი სახელმწიფო და კერძო პირთა ინტერესებს შორის. ცვლილებების ნაწილი ხელს შეუწყობს მომავალში მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ორგანიზებას და ჩატარებას, საზოგადოებისათვის კრებსითი ინფორმაციის მიწოდების ოპერატიულობას და საბიუჯეტო სახსრების ოპტიმალურ გამოყენებას, აგრეთვე ხელს შეუწყობს სტატისტიკური საქმიანობის პრინციპებისა და სტანდარტების დაახლოებას ევროკავშირის ქვეყნებში სტატისტიკის წარმოების პრინციპებსა და სტანდარტებთან.

საქსტატის ძირითადი პროდუქტები და მეთოდოლოგია

კანონმდებლობის შესაბამისად, სტატისტიკის წარმოება და მისი წარმოების შედეგად მიღებული ინფორმაციის გავრცელება უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებსა და გამოცდილებას. შესაბამისად, საქსტატი მის მიერ წარმოებულ ყველა სტატისტიკურ კვლევაში ხელმძღვანელობს საერთაშორისო მეთოდოლოგიისა და სტანდარტების შესაბამისად სპეციალურად შემუშავებული და დამტკიცებული კითხვარებით. საქსტატის მიერ წარმოებული ძირითადი კვლევები (მათ შორის შედეგად მიღებული სტატისტიკური მონაცემები/პროდუქტები), რაც ოფიციალურ სტატისტიკას წარმოადგენს, შემდეგია:

1. ეროვნული ანგარიშები: მთლიანი შიდა პროდუქტი და მთლიანი ეროვნული შემოსავალი;
2. საგარეო სექტორის სტატისტიკა: საქონლით საგარეო ვაჭრობა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები;
3. ფასების სტატისტიკა: სამომხმარებლო ფასების ინდექსი, მწარმოებელთა ფასების ინდექსი;
4. სოციალური სტატისტიკა: სიღარიბის მაჩვენებლები, საარსებო მინიმუმი, შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები, დასაქმება და უმუშევრობა, ხელფასები, განათლების, ჯანდაცვის, კულტურის, სამართლებრივი, გენდერული და ტურიზმის სტატისტიკა;
5. მოსახლეობა და დემოგრაფია: მოსახლეობის რიცხოვნობა, დაბადება და გარდაცვალება, ქორწინება და განქორწინება, მიგრაცია;
6. ბიზნეს სტატისტიკა: ბიზნეს რეგისტრი, ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების, ბრუნვის და დასაქმების მაჩვენებლები, მრეწველობის, მშენებლობის, ენერგეტიკის და მომსახურების სფეროს სტატისტიკა;
7. სოფლის მეურნეობის სტატისტიკა: ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობი, აღებული ფართობი, წარმოება და საშუალო მოსავლიანობა, მრავალწლოვანი კულტურების წარმოება, პირუტყვის და ფრინველის სულადობა, დაცემა და ნამატი, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება და საშუალო მაჩვენებლები, სასოფლო მეურნეობების მიერ გამოყენებული მინერალური სასუქები, განოყიერებული ფართობი და საშუალოდ ერთ ჰექტარზე გამოყენებული მინერალური სასუქების რაოდენობა ქვეყნის დონეზე და რეგიონების მიხედვით. გარემოს დაცვის სტატისტიკა და სასურსათო ბალანსები.

სტატისტიკური მონაცემების/პროდუქტები წარმოებისას საქსტატმა 2013 წელს იხელმძღვანელა შემდეგი მეთოდოლოგიური დოკუმენტებით:

ეროვნული ანგარიშები

1. “ეროვნულ ანგარიშთა სისტემა 1993” (SNA - System of National Accounts 1993), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ევროსტატი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია – OECD, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ბრიუსელი/ლუქსემბურგი, ნიუ იორკი, პარიზი, ვაშინგტონი, 1993 წელი;

2. “დაუკვირვებადი ეკონომიკის გაზომვა” (Measuring the Non-Observed Economy), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია – OECD, პარიზი, საფრანგეთი, 2002 წელი.

საგარეო სექტორის სტატისტიკა:

1. საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა” (International Merchandise Trade Statistics), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, აშშ, 2011 წელი;

2. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა (HS 2012, Harmonized Commodity Description and Coding System);

3. საგადასახდელი ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის სახელმძღვანელო (Balance of Payments and International Investments Position Manual), საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ვაშინგტონი, აშშ, 2008 წელი, მეექვსე გამოცემა;

4. “პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტანდარტული განსაზღვრება” (OECD Benchmark Definition of Foreign Direct Investment), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია – OECD, პარიზი, საფრანგეთი, 2008 წელი, მეოთხე გამოცემა;

5. “პირდაპირი ინვესტიციების კოორდინირებული გამოკვლევის სახელმძღვანელო” (The Coordinated Direct Investment Survey Guide), საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ვაშინგტონი, აშშ, 2008 წელი;

6. “საგარეო ვალის სტატისტიკა” (External Debt Statistics), ევროსტატი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია – OECD, მსოფლიო ბანკი, გაეროს კონფერენცია ვაჭრობასა და განვითარებაზე – UNCTAD, ვაშინგტონი, აშშ, 2003 წელი;

ფასების სტატისტიკა:

1. სახელმძღვანელო “სამომხმარებლო ფასების ინდექსი” (Consumer Price Index Manual), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), 2004;

2. “სამომხმარებლო ფასების ინდექსების წარმოების პრაქტიკული სახელმძღვანელო” (Practical Guide to Producing Consumer Price Indices), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 2009;

3. საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციები, 1993-2012;

4. ექსპორტის და იმპორტის ფასების ინდექსის სახელმძღვანელო (Export and Import Price Index Manual), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), 2009;

5. სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო;

6. სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო;

სოციალური სტატისტიკა:

1. შინამეურნეობების გამოკვლევის სახელმძღვანელო (Handbook of Household Surveys), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, 1984 წელი;
2. შინამეურნეობებისა და ცალკეული ინდივიდების მიერ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობისა და გამოყენების ინდიკატორების გაანგარიშების მეთოდოლოგია (Manual for measuring ICT Access and Use by Households and Individuals), ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო გაერთიანება, ჟენევა, შვეიცარია, 2014 წელი
3. თანამედროვე საერთაშორისო რეკომენდაციები შრომის სტატისტიკაზე (Current International Recommendations on Labour Statistics, ILO), 1994 წლის გამოცემა, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, ჟენევა, შვეიცარია;
4. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის გამოკვლევა: დასაქმება, უმუშევრობა და არასრული დასაქმება (მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო), (Husmanns, R., Mehran, F., Verma, V. Surveys of Economically Active Population, Employment, Unemployment and Underemployment), რ. ჰუსმანსი, ფ. მერანი, ვ. ვერმა, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, ჟენევა, შვეიცარია, 1992 წელი;
5. „დასაქმების, უმუშევრობისა და არასრული დასაქმების გაანგარიშების მეთოდოლოგია – თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტები და მათი გამოყენების საკითხები“, (Measurement of employment, unemployment and underemployment – Current international standards and issues in their application, ILO), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია;
6. ძირითადი ცნებები და განმარტებები შრომის სტატისტიკაში, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO);
7. „ხელფასების სტატისტიკის ინტეგრირებული სისტემა“ (An Integrated System of Wages Statistics, ILO), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), ჟენევა, შვეიცარია, 1994 წელი;
8. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დანაშაულებების აღკვეთის და სისხლის სამართლის ვენის განყოფილების სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის და პოლიტიკის ანალიზის დეპარტამენტის რეკომენდაციები;
9. იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტის რეკომენდაციები (განათლება, მეცნიერება, კულტურა);
10. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) რეკომენდაციები გენდერული სტატისტიკის სფეროში;
11. საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის 2008 (International Recommendations for Tourism Statistics 2008), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია;
12. მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო ტურიზმის სტატისტიკისთვის, ვერსია 1.2 (Methodological Manual for Tourism Statistics, version 1.2), ევროკავშირი, 2012 წელი.

მოსახლეობის და დემოგრაფიის სტატისტიკა:

1. ევროპის სტატისტიკოსთა კონფერენციის რეკომენდაციები 2010 წლის რაუნდის მოსახლეობისა და საცხოვრისების აღწერისთვის (Conference of European Statisticians Recommendations for the 2010 Censuses of Population and Housing, UN), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, ჟენევა, 2006 წელი;
2. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკური აღრიცხვის სისტემის პრინციპები და რეკომენდაციები (Principles and Recommendations for a Vital Statistics System, UN), მეორე შესწორებული გამოცემა, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, 2001 წელი;
3. დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი, გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), 2005 წელი, თბილისი.

ბიზნეს სტატისტიკა:

1. “სტატისტიკური მოთხოვნების კრებული (Statistical Requirements Compendium, Eurostat), ევროსტატი, 2004 და 2009 წლების გამოცემები;
2. მოკლევადიანი ბიზნეს სტატისტიკის მეთოდოლოგია - განმარტებები და რეკომენდაციები” (Methodology of Short-Term Business Statistics (Interpretation and Guidelines), Eurostat), ევროსტატი, 2006 წელი;
3. “მოკლევადიანი ბიზნეს სტატისტიკის მეთოდოლოგია - თანმხლები დოკუმენტები” (Methodology of Short-Term Business Statistics (Associated Documents), Eurostat), 2006 წელი, ევროსტატი);
4. “საერთაშორისო რეკომენდაციები მშენებლობის სტატისტიკისათვის” (International Recommendations for Construction Statistics, UNSD), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის სამსახური, 1997 წელი;
5. “ახსნა-განმარტებები სამშენებლო საქმიანობის სტატისტიკური გამოკვლევისათვის”, გერმანიის სტატისტიკის ფედერალური სამსახური, 1997 წელი;
6. “ენერგეტიკის სტატისტიკის სახელმძღვანელო” (Energy Statistics Manual, OECD), ევროსტატი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია - OECD, ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო;
7. “საერთაშორისო რეკომენდაციები ვაჭრობის სტატისტიკისათვის” (International Recommendations for Distributive Trade Statistics, UN), გაეროს სტატისტიკის სამსახური, 2009 წელი);
8. “სატვირთო საავტომობილო ტრანსპორტის მეთოდოლოგია” (Road Freight Transport Methodology, Eurostat) ევროსტატი, 2008 წელი;
9. “მომსახურების სტატისტიკის განვითარება: "მომსახურების სტატისტიკა მოკლევადიან ბიზნეს სტატისტიკაში" სემინარის მასალები (Evolution of Service Statistics: Proceedings of the seminar on "Service Statistics Within Short-term Business Statistics, Eurostat), ევროსტატი, 2002 წელი;
10. “ტრანსპორტის სტატისტიკის გლოსარიუმი“ (Glossary for Transport Statistics, Eurostat), მესამე გამოცემა, ევროსტატი, 2003 წელი;

11. “ბიზნეს რეგისტრი: სარეკომენდაციო სახელმძღვანელო” (Business Register: Recommendations Manual, Eurostat), ევროსტატი, - 2010 წელი;

12. “ევროსტატის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სახელმძღვანელო ბიზნეს დემოგრაფიის სტატისტიკაზე” (Eurostat – OECD Manual on Business Demography Statistics), ევროსტატი და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, 2007 წელი;

13. “ადმინისტრაციული წყაროების გამოყენება ბიზნეს სტატისტიკის მიზნებისათვის: საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო” (Use of Administrative Sources for Business Statistics Purposes: Handbook on Good Practices, Eurostat), ევროსტატი, 1999 წელი;

სოფლის მეურნეობის სტატისტიკა:

1. “სასოფლო-სამეურნეო აღწერების და გამოკვლევების ჩატარება”, FAO-ს სტატისტიკური განვითარების სერია, №6, (Conducting Agricultural Censuses and Surveys, FAO), გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), რომი, 1996;

2. “ინტეგრირებული სასოფლო-სამეურნეო აღწერების და გამოკვლევების სისტემა, ტ.1 - რეკომენდაციები სასოფლო სამეურნეო აღწერათა პროგრამისათვის”. FAO-ს სტატისტიკური განვითარების სერია, №11, (A System of Integrated Agricultural Censuses and Surveys, Vol. 1 World Programme for the Census of Agriculture, FAO), გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) რომი, 2005.

ორგანიზაციული სტრუქტურა და საშტატო განრიგი

“ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” კანონის შესაბამისად, საქსტატთან ფუნქციონირებს საქსტატის საბჭო, რომელიც შედგება შვიდი წევრისა და საბჭოს თავმჯდომარისგან. საბჭოს სამი წევრი საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები არიან. მათ კანდიდატურებს საქართველოს პრემიერ-მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენენ შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელები. საბჭოს დანარჩენი ხუთი წევრი არ არის საჯარო მოსამსახურე. მათ თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი საქართველოს პარლამენტის თანხმობით, „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ კანონით დადგენილი წესით.

საბჭოს ფუნქციებია:

1) საქსტატისათვის სტატისტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა;

2) საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის მიერ წარდგენილი სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

3) საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის მიერ წარდგენილი საქსტატის ყოველწლიური საქმიანობის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება;

4) სტატისტიკური საქმიანობისას გამოსაყენებელი სტატისტიკური სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის განხილვა, რეკომენდაციების მომზადება და დამტკიცება ან საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის აღიარება;

5) მოსახლეობის საყოველთაო აღწერის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მეთოდოლოგიის დამტკიცება;

6) მოსახლეობის საყოველთაო აღწერის პროგრამასთან დაკავშირებით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

7) საქსტატის საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის განხილვა და დამტკიცება;

8) საქსტატის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

9) საბჭოს დებულების შემუშავება და დამტკიცება, რომლითაც უნდა განისაზღვროს საბჭოს მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები;

10) „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ კანონითა და საბჭოს დებულებით გათვალისწინებული სხვა საქმიანობა.

საბჭოს საქმიანობის წესი და პირობები განსაზღვრულია საქსტატის საბჭოს 2013 წლის 26 დეკემბრის №17 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საბჭოს დებულებით.

2014 წელს, საქსტატის ცენტრალური აპარატისა და ტერიტორიული ორგანოების საშტატო ნუსხა განსაზღვრული იყო 208 საშტატო ერთეულით (154 საშტატო ერთეული ცენტრალურ აპარატში და 54 საშტატო ერთეული ტერიტორიულ ორგანოებში). აღმასრულებელ დირექტორს ჰყავს სამი მოადგილე. საქსტატის სტრუქტურაში შედის 11 დარგობრივი სამმართველო (ეროვნული

ანგარიშების სამმართველო, საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის სამმართველო, ბიზნეს სტატისტიკის სამმართველო, ფასების სტატისტიკის სამმართველო, სოციალური სტატისტიკის სამმართველო, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სტატისტიკის სამმართველო, მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიის სამმართველო, აღმასრულებელი დირექტორის აპარატი (სამმართველოს სტატუსით), შიდა აუდიტის სამმართველო, ადმინისტრაციული სამმართველო, ინფორმაციული ტექნოლოგიების სამმართველო და 8 ტერიტორიული ორგანო – თბილისის სტატისტიკის ბიურო, თელავის სამმართველო, გორის სამმართველო, ქუთაისის სამმართველო, ბორჯომის სამმართველო, რუსთავის სამმართველო, ფოთის სამმართველო და ბათუმის სამმართველო (იხილეთ დანართი 1).

საშტატო განრიგი წარმოდგენილია **დანართი 2** – ის სახით. ერთი თვის სახელფასო ფონდი შეადგენდა 206 950 ლარს. მაქსიმალური ხელფასი 2950 ლარი, მინიმალური – 600 ლარი. საშუალო ხელფასი - 995 ლარი.

სტატისტიკური კვლევების და მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ჩასატარებლად და საქსტატის სხვა ფუნქციების განხორციელების მიზნით 2014 წლის განმავლობაში აყვანილ შტატგარეშე თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენდა 15101 ერთეულს (მ.შ. 14670 მოსახლეობის აღწერის ფარგლებში).

2014 წლის განმავლობაში საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში გამოცხადებული იყო კონკურსი შტატით გათვალისწინებული 81 ვაკანტურ თანამდებობაზე. გამოცხადებულ ვაკანტურ თანამდებობაზე განაცხადი შემოიტანა სულ 4059 კანდიდატმა. კონკურსის ბოლო ეტაპზე (გასაუბრებაზე) მოწვეული იყო სულ 251 კანდიდატი. კონკურსის შედეგად თანამდებობაზე დაინიშნა 68 კანდიდატი.

2014 წლის ბიუჯეტი

საქსტატის დაფინანსების წყაროებს წარმოადგენს: სახელმწიფო ბიუჯეტი, გრანტები და შემოსავლები ეკონომიკური საქმიანობიდან.

“საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 14 600 000 ლარი, გრანტებმა 2 067 000 ლარი შეადგინა, ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა 267 500 ლარი, სულ წლიურმა შემოსავალმა 16 934 500 ლარი.

საანგარიშო წლის განმავლობაში, “2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის და “საბიუჯეტო კოდექსის” შესაბამისად განხორციელდა დასაშვები ცვლილებები (გადაწინააღმდეგება) საქსტატის ასიგნებებში, რის შედეგადაც დაზუსტებული გეგმა-ხარჯი ჩამოყალიბდა თანდართული სახით. აღნიშნული სახსრების ხარჯვას საქსტატი ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიშიდან “სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ” ინსტრუქციის შესაბამისად.

საქსტატი ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობასაც და მისი ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული სახსრების ხარჯვა ხორციელდება აღმასრულებელი დირექტორის მიერ დამტკიცებული გეგმისა და ბიუჯეტის შესაბამისად (დანართი №3).

სსიპ “საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური-საქსტატი” (სახელმწიფო ბიუჯეტი, გრანტები და საკუთარი შემოსავლები)

2014 წლის საქსტატის ხარჯებმა შეადგინა 15 216 200 ლარი. მათ შორის: საბიუჯეტო სახსრები – 12 882 200 ლარი, გრანტები – 2 067 000 ლარი. ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის საკასო ხარჯი - 267 000 ლარი (დანართი №3).

ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით ხარჯები ასე გამოიყურება:

- შრომის ანაზღაურება – 3 064 400 ლარი, (მ.შ. პრემია - 477 635 ლარი, დანამატი - 340 750 ლარი);

საქონელი და მომსახურება – 11 568 520 ლარი, მათ შორის:

სტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 9 423 670 ლარი;

მივლინება – 250 040 ლარი;

ოფისის ხარჯი – 919 940 ლარი;

წარმომადგენლობითი ხარჯი – 28 600 ლარი;

რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენა - 40 470 ლარი;

ტრანსპორტის ექსპლუატაცია – 129 950 ლარი;

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება – 775 850 ლარი;

- სოციალური უზრუნველყოფა – 35 920 ლარი;
- გრანტი - 16 190 ლარი;
- სხვა ხარჯები - 27 960 ლარი;
- არაფინანსური აქტივების ზრდა - 488 970 ლარი;
- ვალდებულებების კლება – 14 240 ლარი.

საქსტატის 2014 წლის გეგმა-ხარჯი - საბიუჯეტო სახსრები (ლარი)

კოდი	დასახელება	დამტკიცებული გეგმა	ცვლილება	დაზუსტებული გეგმა	შესრულება	სხვაობა (5-6)	%
1	2	3	4	5	6	7	8
47 00	სსიპ _ საქსტატი	14600000	0	14600000	12882198	1717802	88
	მომუშავეთა რიცხოვნობა	149				0	0
	ხარჯები	14380000	-287000	14093000	12379230	1713770	88
	შრომის ანაზღაურება	2781000	231750	3012750	3012691	59	100
	საქონელი და მომსახურება	11549000	-522750	11026250	9316476	1709774	84
	გრანტები					0	0
	სოციალური უზრუნველყოფა	35000	4000	39000	35924	3076	92
	სხვა ხარჯები	15000	0	15000	14139	861	94
	არაფინანსური აქტივების ზრდა	220000	271000	491000	488972	2028	100
	ვალდებულებების კლება	0	16000	16000	13996	2004	87
47 01	სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა	3722000	426000	4148000	4052595	95405	98
	მომუშავეთა რიცხოვნობა	211		208	208	0	100
	ხარჯები	3582000	249000	3831000	3738296	92704	98
	შრომის ანაზღაურება	2781000	231750	3012750	3012691	59	100
	საქონელი და მომსახურება	751000	13250	764250	675542	88708	88
	სოციალური უზრუნველყოფა	35000	4000	39000	35924	3076	92
	სხვა ხარჯები	15000	0	15000	14139	861	94
	არაფინანსური აქტივების ზრდა	140000	161000	301000	300303	697	100

	ვალდებულებების კლება		16000	16000	13996	2004	87	
47 02	სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა		2078000	-15000	2063000	1521547	541453	74
	ხარჯები		2078000	-15000	2063000	1521547	541453	74
	საქონელი და მომსახურება		2078000	-15000	2063000	1521547	541453	74
	გრანტები							0
47 03	მოსახლეობის და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა		8800000	-411000	8389000	7308056	1080944	87
	ხარჯები		8720000	-521000	8199000	7119387	1079613	87
	საქონელი და მომსახურება		8720000	-521000	8199000	7119387	1079613	87
	სხვა ხარჯები			0			0	0
	არაფინანსური აქტივების ზრდა		80000	110000	190000	188669	1331	99

სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა (საბიუჯეტო სახსრები) - 4701

სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვისა და მართვის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 3 722 000 ლარს, დაზუსტებული - 4 148 000 ლარს, შესრულებამ შეადგინა - 4 052 600 ლარი, ანუ დაზუსტებული გეგმის 98 %-ს.

კოდი	დასახელება	დამტკიცებული გეგმა	ცვლილება	დაზუსტებული გეგმა	შესრულება	სხვაობა (5-6)	%
1	2	3	4	5	6	7	8
47 01	სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა	3722000	426000	4148000	4052595	95405	98
	მომუშავეთა რიცხოვნობა	211		208	208	0	100
	ხარჯები	3582000	249000	3831000	3738296	92704	98
	შრომის ანაზღაურება	2781000	231750	3012750	3012691	59	100
	საქონელი და მომსახურება	751000	13250	764250	675542	88708	88
	სოციალური უზრუნველყოფა	35000	4000	39000	35924	3076	92
	სხვა ხარჯები	15000	0	15000	14139	861	94

	არაფინანსური აქტივების ზრდა	140000	161000	301000	300303	697	100
	ვალდებულებების კლება		16000	16000	13996	2004	87

ეკონომიამ შეადგინა - 95 405 ლარი.

განმარტება:

საქონელისა და მომსახურების მუხლში ეკონომია 88 708 ლარი გამოწვეულია შესყიდვების ტენდერების შედეგად მიღწეული ეკონომიებით;

სოციალური უზრუნველყოფის მუხლში გეგმა გამომდინარეობდა შარშანდელი ფაქტიური დანახარჯის გამოცდილებით. მიმდინარე წელს შრომისუნარობის და დეკრეტული შვებულების მაჩვენებელი შემცირდა, ფაქტობრივი ეკონომია შეადგენს 3076 ლარს;

ვალდებულებების კლების მუხლიდან გასტუმრებულია სასამართლო გადაწყვეტილებითა და სააღსრულებო ფურცლებით საქსტატისთვის დაკისრებული, 1998-2002 წლების სახელფასო დავალიანებები. ეკონომიები გამოწვეულია იმით, რომ საანგარიშო პერიოდში სხვა აღსასრულებელი მოთხოვნა არ დამდგარა.

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- განხორციელდა სტატისტიკური კვლევების და მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მოსამზადებელი სამუშაოების დაგეგმვა, მართვა და ადმინისტრირება; მეთოდოლოგიური და სტატისტიკური სტანდარტების შემუშავება; სამსახურის მართვის, მოსახლეობის საყოველთაო აღწერისა და სტატისტიკური კვლევების განხორციელების მიზნით საჭირო საკადრო, ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რესურსებით უზრუნველყოფა.

სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა (საბიუჯეტო სახსრები) - 4702

სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცებულმა გეგმამ შეადგინა 2 078 000 ლარი, დაზუსტებულმა 2 063 000 ლარი, შესრულებამ შეადგინა 1 521 547 ლარი, (დაზუსტებული გეგმის 74%).

კოდი	დასახელება	დამტკიცებული გეგმა	ცვლილება	დაზუსტებული გეგმა	შესრულება	სხვაობა (5-6)	%
1	2	3	4	5	6	7	8
4702	სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა	2078000	-15000	2063000	1521547	541453	74
	ხარჯები	2078000	-15000	2063000	1521547	541453	74
	საქონელი და მომსახურება	2078000	-15000	2063000	1521547	541453	74

	გრანტები						0
--	----------	--	--	--	--	--	---

ეკონომიამ შეადგინა - 541 453 ლარი

განმარტება:

ტურიზმის სტატისტიკის კვლევების მოსამზადებელი სამუშაოების დამატებითი საჭიროებების გამო კვლევები ნაცვლად დაგეგმილი 1 იანვარისა და იყო 1 ივლისს, რის შედეგადაც მიღებულია ეკონომია 255 270 ლარი;

ჯანდაცვის სფეროში დაუკვირვებადი ეკონომიკის კვლევის დაფინანსება საბიუჯეტო სახსრებით არ განხორციელდა, ვინაიდან მსგავსი კვლევის ჩატარება მოხდა საერთაშორისო დონორების დაფინანსებით. შედეგად ეკონომიამ შეადგინა 70 000 ლარი;

მოქმედი კანონით კვლევებში მონაწილეობა ადმინისტრაციული ორგანოების გარდა სავალდებულო არ არის. გამოკვლევების მიმდინარეობის პერიოდში რესპონდენტების ნაწილი უარს აცხადებს კვლევებში მონაწილეობაზე, შესაბამისად გამოუპასუხებლობის შედეგად წარმოიქმნება ეკონომიები. გამოუპასუხებლობით მიღებული ეკონომია შეადგენს 216 183 ლარს, რაც დაზუსტებული გეგმის 10.4 %-ს.

მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა (საბიუჯეტო სახსრები)
4703

მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 8 800 000 ლარს, დაზუსტებული - 8 389 000 ლარს, შესრულებამ შეადგინა 7 308 060, (დაზუსტებულ გეგმის 87 %).

კოდი	დასახელება	დამტკიცებული გეგმა	ცვლილება	დაზუსტებული გეგმა	შესრულება	სხვაობა (5-6)	%
1	2	3	4	5	6	7	8
47 03	მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა	8800000	-411000	8389000	7308056	1080944	87
	ხარჯები	8720000	-521000	8199000	7119387	1079613	87
	საქონელი და მომსახურება	8720000	-521000	8199000	7119387	1079613	87
	სხვა ხარჯები		0			0	0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	80000	110000	190000	188669	1331	99

ეკონომიამ შეადგინა - 1 080 944 ლარი

განმარტება:

შტატგარეშე მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მუხლში ეკონომია 690 652 ლარი გამოწვეულია წინასწარი შემოვლის შედეგად აღსაწერი ოჯახების რაოდენობის დაზუსტებით. შედეგად სავლე სამუშაოებისათვის დაგჭირდა ნაკლები რაოდენობის სავლე პერსონალი, ვიდრე ეს წინა აღწერის შედეგებიდან გამომდინარე იყო დაგეგმილი.

მივლინების მუხლში ზემოაღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე ეკონომიამ შეადგინა 228 308 ლარი;

ეკონომია ოფისის მუხლში - 83 716 ლარი; ტრანსპორტის მუხლში - 60 319 ლარი;

რბილი ინვენტარი და უნიფორმა - 12 064 ლარი; სხვა დანარჩენი საქონელი - 4 554

ლარი და არაფინანსური აქტივები - 1331 ლარი, სულ 161 984 ლარის ეკონომია

გამოწვეულია შესყიდვების ტენდერების ჩატარების შედეგად მიღწეული ეკონომიით.

პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

დასრულდა შენობებისა და მათში ფაქტიურად მცხოვრები შინამეურნეობების სიების შედგენის სავლე სამუშაოებიდან მიღებული პირველადი მასალის კომპიუტერში ჩაწერის სამუშაოები.

განხორციელდა ქვეყნის რეგიონების სააღწერო დარაიონება 2014 წლის 5-19 ნოემბრის აღწერის ორგანიზებისათვის.

დასრულდა სავლე პერსონალის შერჩევა და ტრენინგი;

დაიბეჭდა აღწერის სავლე სამუშაოებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და კარტოგრაფიული მასალა აღწერის სავლე სამუშაოებისათვის.

2014 წლის 15-29 სექტემბერს მესტიის, ყაზბეგის და დუშეთის (6 თვეში) და ახმეტის (1 თვეში) მუნიციპალიტეტებში ჩატარდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერა.

2014 წლის 5-19 ნოემბერს ჩატარდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერის სავლე სამუშაოები (გარდა მესტიის, ყაზბეგის და დუშეთის (6 თვეში) და ახმეტის (1 თვეში) მუნიციპალიტეტებში);

განხორციელდა პირველადი მონაცემების (კითხვარების) რეგიონებიდან ტრანსპორტირება და დასაწყობება საქსტატის ოფისში.

2014 წელს საქსტატის მიერ მიღებული გრანტები და მიზნობრივი დაფინანსება

საქსტატის მიერ 2014 წელს გრანტებისა და მიზნობრივი დაფინანსების სახით მიღებულია 2 067 037 ლარი. დონორ ორგანიზაციებთან გაფორმდა ოთხი საგრანტო ხელშეკრულება. მათ შორის გაეროს ბავშთა ფონდთან გაფორმებული ორი ხელშეკრულების მიზანს წარმოადგენდა სტატისტიკური კვლევების გაუმჯობესება, ხოლო მსოფლიო ბანკთან და გაეროს მოსახლეობის ფონდთან გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულებები მოსახლეობის საყოველთაო აღწერის სამუშაოების მხარდაჭერაზე იყო გამიზნული.

2014 წლის საგრანტო ხელშეკრულებათა რეესტრი

N	გრანტის გამცემი	გრანტის დასახელება	გრანტის ნომერი	გრანტის პერიოდი	გრანტის თანხა	2014 წელს მიღებული თანხა
1	UNICEF (გაეროს ბავშთა ფონდი)	„ეროვნული კვლევა ახალგაზრდებისა და მოზარდების მდგომარეობის შესახებ საქართველოში“	№560	11.07.2013-10.03.2014	119 600 ლარი	22 654 ლარი
2	UNICEF (გაეროს ბავშთა ფონდი)	„ მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის გადახედვა“.	№626	16.12.2013-15.04.2014	77 000 ლარი	77 000 ლარი
3	WB-IBRD-IDA (მსოფლიო ბანკი)	„საქართველოს მოსახლეობის აღწერასთან დაკავშირებული მოსამზადებელი სამუშაოები 2014“	№572	01.09.2013-31.12.2014	250 000 აშშ დოლარი	56 125 ლარი
4	UNFPA (გაეროს მოსახლეობის ფონდი)	მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მხარდაჭერა	№689	07.04.2014-31.12.2014	1 219 394 აშშ დოლარი	1 911 258 ლარი

აღნიშნული გრანტების ფაქტიურმა ხარჯებმა შეადგინა 2 067 037 ლარი და გეგმასთან მიმართებაში შესრულება შეადგენს 100 %-ს.

გაეროს ბავშთა ფონდის (UNICEF) ორივე გრანტი მოხმარდა მიმდინარე სტატისტიკურ კვლევებს და მთლიანი ხარჯი შეადგენდა შტატგარეშე მოსამსახრეთა შრომის ანაზღაურებას.

მსოფლიო ბანკის გრანტის ფარგლებში განხორციელდა თბილისში შენობებისა და მათში ფაქტობრივად მცხოვრები შინამეურნეობების სიების დადგენა გეოსაინფორმაციო სისტემებისა და ციფრული რუკების გამოყენებით და აქედან მიღებული მონაცემების კომპიუტერული დამუშავება.

გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ გამოყოფილი გრანტის ფარგლებში დაფინანსდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერის სავსე სამუშაოების 1867 ერთეული ინსტრუქტორ-კონტროლიორის ხელფასები - 1 120 200 ლარი; კითხვარების ბეჭდვა - 144 000 ლარი; მივლინება - 9 500 ლარი; აღწერის სარეკლამო კამპანია - 637 558 ლარი.

2014 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და ხარჯები

ნაშთი 01.01.2014-ის მდგომარეობით შეადგენდა 14 631 ლარს.

2014 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა საკასო შემოსავალმა შეადგინა **267 507** ლარი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში 2010 წლის 22 ნოემბრის №23 დადგენილების საფუძველზე დადგენილია სტატისტიკური მონაცემების გავრცელების საფასური. 2014 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 იანვრამდე საქსტატში შემოსულია 2244 ოფიციალური მოთხოვნა სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდების შესახებ. აქედან **664** წერილზე გაწეულ იქნა ფასიანი მომსახურება, **1 242** წერილზე გაიცა უფასო ინფორმაცია, ხოლო **237** წერილი გათხოვნილ იქნა უკან განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო **101** წერილში მოთხოვნილ ინფორმაციას საქსტატი არ ფლობდა.

აღნიშნულ პერიოდში ფასიანი ინფორმაციებიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა - **60 471 ლარი**, რაც დარგობრივი სამმართველოების მიხედვით ასე გამოიყურება:

1. საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკა - 36 299 ლარი - 61%
2. ბიზნეს სტატისტიკა - 20 163 ლარი - 33%
3. ფასების სტატისტიკა - 2 073 ლარი - 3%
4. სოციალური სტატისტიკა - 473 ლარი - 0.7%
5. ეროვნული ანგარიშების სტატისტიკა - 183 ლარი - 0.3%
6. დირექტორის აპარატი - 1290 ლარი - 2.0%

გარდა ამისა, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2014 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 იანვრამდე პერიოდში გაფორმდა 11 ერთეული ხელშეკრულება კერძო სტატისტიკური კვლევის განხორციელების თაობაზე და აქედან მიღებულმა შემოსავლებმა სულ შეადგინა - **202 802** ლარი.

კომერციული ბანკის მიმდინარე ნაშთებზე ბანკის მიერ დარიცხული პროცენტი შეადგენს - **4 234** ლარი.

2014 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიდან საქსტატის მიერ გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა **267 010** ლარი. მათ შორის:

- პრემია - 51 750 ლარი;
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 177 470 ლარი;
- მივლინება - 3 160 ლარი;
- ოფისის ხარჯი - 14 660 ლარი;
- ტრანსპორტის ხარჯი - 4 890 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი - 1 260 ლარი;
- საბიუჯეტო გადასახადები - 13 820 ლარი.

ნაშთი 01.01.2015-ის მდგომარეობით შეადგენს 15 128 ლარს.

მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

2014 წლის 5 ნოემბრიდან 19 ნოემბრის ჩათვლით საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა მოსახლეობის საყოველთაო აღწერა ჩაატარა. მოსახლეობის საყოველთაო აღწერასთან ერთად ჩატარდა სასოფლო-სამეურნეო აღწერაც.

საყოველთაო აღწერა მოიცავდა საქართველოს მთელ ტერიტორიას აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის გარდა.

აღწერა, თავისი მასშტაბითა და შინაარსით, წარმოადგენს უნიკალურ საინფორმაციო წყაროს მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ. აღწერის შედეგად მიღებული იქნება უახლესი ინფორმაცია მოსახლეობის რიცხოვნობის, მათი სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის, დასაქმების, განათლების, ჯანმრთელობისა და სხვა ინდიკატორების შესახებ.

იმის გამო, რომ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო აქტიურობა და პროდუქციის წარმოება ძირითადად ხორციელდება შინამეურნეობების სექტორში და ამასთან ერთად, საქსტატი დაეყრდნო რა გაეროს 2010 წლის აღწერების რაუნდისათვის შემუშავებულ რეკომენდაციებს, დანახარჯებისა და ადამიანური რესურსების ოპტიმალურად გამოყენების მიზნით, მოსახლეობის აღწერასთან ერთად ჩაატარა (5-19 ნოემბრის პერიოდში) სასოფლო-სამეურნეო აღწერა და სოციალური და დემოგრაფიული სახის მონაცემებთან ერთად, სპეციალური კითხვარის მეშვეობით, შეაგროვა ინფორმაცია შინამეურნეობების სასოფლო-სამეურნეო აქტიურობის შესახებ. კითხვარის მეშვეობით მიღებულ იქნა მონაცემები შინამეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწის სტრუქტურის, პირუტყვისა და ფრინველის სულადობის, გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესახებ და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მუნიციპალიტეტების, ტერიტორიული ერთეულების და სოფლების დონეზე.

ნოემბრის თვეში ამინდის შესაძლო გაუარესების გამო, საქსტატმა მესტიის, ყაზბეგის, დუშეთის (გუდამაყრის, ქვეშეთის, ხევსურეთის, უკანაფშავის, შატილის, მალაროსკარის თემები) და ახმეტის (ომალოს თემი) მუნიციპალიტეტების მაღალმთიან დასახლებებში მოსახლეობის აღწერა განახორციელა 2014 წლის 15-29 სექტემბერს.

სპეციალურად ამ მიზნისათვის მომზადებულმა 10 ათასამდე აღმწერმა მთელი ქვეყნის მასშტაბით შემოიარა მათ სამოქმედო ტეროტორიაზე არსებული ყველა საცხოვრისი და მათში მცხოვრები შინამეურნეობის ერთი ან რამდენიმე სრულწლოვანი წევრის გამოკითხვის გზით, მიიღეს ინფორმაცია შინამეურნეობისა და მის შემადგენლობაში მყოფი თითოეული წევრის შესახებ. გამოკითხვის დრო მერყეობდა 40-60 წუთი.

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად, აღწერის შედეგად მოპოვებული ინდივიდუალური მონაცემები კონფიდენციალურია და არ ექვემდებარება გამჟღავნებას. რესპონდენტის შესახებ ინდივიდუალური მონაცემები ინახება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კანონის თანახმად საქართველოს ყველა მოქალაქე, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე პირი ვალდებული იყო გაიარა აღწერა.

2014 წლის განმავლობაში:

- განხორციელდა სამეგრელო-ზემო სვანეთის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და იმერეთის რეგიონებში შენობებისა და მათში ფაქტიურად მცხოვრები შინამეურნეობების სიების შედგენა;
- ჩატარდა მოსახლეობის აღწერის სამთავრობო საკოორდინაციო კომისიის სამი სხდომა, სადაც განხილული იყო აღწერის საორგანიზაციო საკითხები და დამტკიცდა აღწერის კითხვარები;
- განხორციელდა შენობებისა და მათში ფაქტიურად მცხოვრები შინამეურნეობების სიების კომპიუტერული დამუშავება;
- განხორციელდა ქვეყნის სააღწერო დარაიონება, ქვეყანა დარაიონდა 9535 სააღწერო უბნად;
- დაიბეჭდა კითხვარები და დამხმარე დოკუმენტაცია;
- დაიბეჭდა კარტოგრაფიული მასალა საველე პერსონალისათვის;
- მედია სივრცეში განთავსებისათვის მომზადდა და განთავსდა სარეკლამო პროდუქცია (ვიდეო რგოლი, გრაფიკული ვიდეო რგოლი, აუდიო რგოლი, ფლემ-ბანერი და ა.შ.);
- მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში (მესტია, ყაზბეგი, დუშეთის 6 თემი, ახმეტის 1 თემი) 15-29 სექტემბერს ჩატარდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერა;
- განხორციელდა კითხვარების, სააღწერო დოკუმენტაციისა და საველე პერსონალის ეკიპირებისათვის საჭირო ინვენტარის ტრანსპორტირება მუნიციპალიტეტებში და თვითმმართველ ქალაქებში;
- აღწერის საველე სამუშაოების ჩატარების მიზნით შეირჩა 11 რეგიონული კოორდინატორი, 73 მუნიციპალური ზედამხედველი, 277-სექტორის ზედამხედველი, 1897-ინსტრუქტორ-კონტროლიორი, 9535-აღმწერი და 477-სარეზერვო აღმწერი;
- 18-28 ოქტომბრის განმავლობაში განხორციელდა დაახლოებით 10 000 საველე პერსონალის ტრენინგი;
- ტრენინგი ჩატარდა თავდაცვის, შინაგან საქმეთა, პრობაციისა და სასჯელაღსრულების თანამშრომლებს მათ სისტემაში მუდმივად მცხოვრები აღწერის საორგანიზაციო საკითხების თაობაზე.
- 1-3 ნოემბერს ჩატარდა საცხოვრისების წინასწარი შემოვლა და აღმწერის მიერ ინტერვიუს დროის შეთანხმება შინამეურნეობის რომელიმე ინფორმირებულ წევრთან;
- 5-19 ნოემბერს ჩატარდა საველე სამუშაოები-მოსახლეობის გამოკითხვა;
- თავდაცვის, შინაგან საქმეთა და პრობაციისა და სასჯელაღსრულების სამინისტროებმა განახორციელეს მათ სისტემაში მყოფი მუდმივი მოსახლეობის აღწერა;
- დისტანციურად (სატელეფონო კავშირის მეშვეობით) აღიწერნენ საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში და საკონსულო დაწესებულებებში როტაციის წესით სამუშაოდ მივლინებული მოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრები;

- 21-23 ნოემბერს ჩატარდა მოცვასთან და მონაცემთა ხარისხთან დაკავშირებული საკონტროლო ღონისძიებები, კერძოდ, გამოტოვებული შინამეურნეობების აღწერა და ადგილზე გასვლით ზედამხედველებმა განახორციელეს აღმწერის მიერ შესრულებული სამუშაოების კონტროლი (სააღწერო უბნის ფარგლებში ყველა მე-10 შინამეურნეობაზე შევსებული კითხვარების შედარება და საჭიროების შემთხვევაში მონაცემების დაზუსტება);
- ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ნოემბერ-დეკემბრის თვეში გამოიკითხა სხვადასხვა მიზეზებით აღუწერელი შინამეურნეობები;
- დამოუკიდებელი ჯგუფის მიერ ნოემბერ-დეკემბრის თვეში განხორციელდა აღმწერების მიერ შესრულებული სამუშაოების მონიტორინგი, როგორც ქ. თბილისში, ასევე რეგიონებში;
- დეკემბრის თვეში განხორციელდა ქ. თბილისში მონაცემთა ტრანსპორტირება, ორგანიზებულად განთავსება და დამუშავებისათვის მომზადება. მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ეფექტურად განსახორციელებლად საზოგადოებრივი აქტივობები რამდენიმე ეტაპად დაიყო. ყველა აქტივობა დაიგეგმა და განხორციელდა მედიის აქტიური ჩართულობით, რამაც შეუწყო ხელი მოქალაქეების ინფორმირებულობის ამაღლებას.
- კამპანიის ფარგლებში აპრილის თვიდან აღწერის ჩატარებამდე საქსტატმა დაგეგმა და განახორციელა 50-მდე აქტივობა სხვადასხვა სოციალური აქციის, ტელე-ეთერის, ბრიფინგებისა და შეხვედრების სახით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან გაფორმდა მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტების აღწერის სავსე სამუშაოებში ჩართვის მიზნით მოეწყო საინფორმაციო შეხვედრები, როგორც თბილისის ასევე რეგიონის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებთან.
- მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ინფორმირებულობის მიზნით საქსტატმა მოამზადა:
 - სამი საინფორმაციო რგოლი, საერთო ეროვნულ და რეგიონულ ტელევიზიებში განსათავსებლად: ერთი - 35 წამიანი ვიდეო (დამატებით ორი 15 წამიანი ჭრით); ორი 20 წამიანი გრაფიკული რგოლი (ოთხი 10 წამიანი ჭრით); ვიდეო რგოლები 22 სექტემბრიდან 18 ნოემბრის ჩათვლით განთავსდა საზოგადოებრივი მაუწყებლის, აჭარის ტელევიზიის, რუსთავი 2-ის, იმედის, მაესტროს და შვიდი რეგიონულ ტელევიზიის (გურჯაანი, ქვემო ქართლის ტვ, მე-9 არხი, მე-9 ტალღა, დეა, მეგა-ტვ, ტვ-ერა) ეთერში;
 - 2 რადიო რგოლი თითოეულის ხანგრძლივობა 15 წამი. რადიო რგოლები განთავსდა 5 რადიო სადგურში, კერძოდ: მაესტრო, ფორტუნა, ფორტუნა +, ავტორადიო, აფხაზეთის ხმა.
 - 8 ინტერნეტ საიტზე (www.myvideo.ge, www.vitube.ge, www.ambebi.ge, www.nessports.ge, www.saqme.ge, www.myauto.ge, www.commersant.ge, www.sportall.ge) განთავსდა ფლემ და სტატიკური ბანერები, ასევე 2 პრეროლი;
 - მთელი ქვეყნის მასშტაბით 1 ოქტომბრიდან გაიკრა 37 გარე ბანერი (ბილბორდი), აქედან 26 თბილისში, ხოლო 11 რეგიონებში (სამტრედია, ქუთაისი, ზუგდიდი, გორი, თელავი, მარნეული, ფოთი, ბათუმი, ტრასაზე გომში, ტრასაზე ნატახტარში და ახალქალაქიდან ახალციხისკენ მიმავალი გზაზე).

- მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ფარგლებში, აღწერის პოპულარიზაციის მიზნით, ჩატარდა სამი გასვლითი სემინარი, როგორც ცენტრალური, ასევე რეგიონული მედიის წარმომადგენლებთან.

2014 წელს განხორციელებული ცვლილებები და სიახლეები

2014 წელს საქსტატში განხორციელებული ცვლილებების და სიახლეების წარმოდგენა შესაძლებელია რამდენიმე ძირითადი პრინციპის მიხედვით. კერძოდ:

- მომხმარებელთა მომსახურება, დიალოგი სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებთან, და მონაცემების გავრცელება;
- კვლევების მეთოდების დახვეწა და ხარისხის გაუმჯობესება;
- საერთაშორისო თანამშრომლობა (იხ. შემდეგი თავი).

მომხმარებელთა მომსახურება, დიალოგი სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებთან და მონაცემების გავრცელება;

საქსტატი სტატისტიკური ინფორმაციის გასავრცელებლად კომუნიკაციის რამდენიმე საშუალებას იყენებს:

- ვებ-გვერდი;
- მონაცემები PC–Axis-ის ფორმატში;
- სოციალური მედია – (Facebook და სხვა);
- სტატისტიკური მომსახურება – ელ. ფოსტა და ცხელი ხაზი;
- ანდროიდის ტიპის მობილური ტელეფონების აპლიკაცია;
- ვებ-გვერდის საშუალებით სტატისტიკური ინფორმაციის სიახლეების გამოწერა;
- პუბლიკაციები;
- დოკუმენტირებული ანგარიშები;
- პრეს-რელიზები;
- პრესკონფერენციები.

საქსტატის ვებ-გვერდზე განთავსებულია მეთოდოლოგიური განმარტებები ყველა ძირითადი სტატისტიკური მიმართულებებისათვის (ფასები, დასაქმება, საარსებო მინიმუმი, ეროვნული ანგარიშები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ბიზნეს სტატისტიკა).

საქსტატის ვებ-გვერდზე განთავსებულია ბმულები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, ევროსტატისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მეთოდოლოგიებზე და სტატისტიკურ მონაცემთა ბაზებზე.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის №219 დადგენილების "საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ" შესაბამისად საქსტატმა ოფიციალურ ვებ-გვერდზე განათავსა ლინკი, სადაც რეგულარულად დადგენილებით გათვალისწინებულ ვადებში თავსდება ინფორმაცია.

2014 წლიდან საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა მუშაობა დაიწყო სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებისთვის მონაცემთა გაცვლების ახალი სისტემის შეთავაზების მიმართულებით. კერძოდ სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებს სიახლეების გამოწერა შეეძლებათ ელექტრონულად სასურველ მეილზე, ქართულ და ინგლისურ ენებზე. აღნიშნული პროგრამა ამოქმედდა 2015 წლის იანვრიდან.

ვებ-გვერდზე ყოველკვარტალურად თავსდება ინფორმაცია კვარტალის განმავლობაში გავრცელებული პუბლიკაციების, პრეს-რელიზების, შემოსულ მოთხოვნებზე გაცემული პასუხების და ვებ-გვერდზე შემოსულთა რაოდენობის შესახებ. ეს ყველაფერი აჩვენებს, თუ რამდენად ეფექტურად მუშაობს სამსახური ინფორმაციის გავრცელების კუთხით. 2014 წლის განმავლობაში:

- მომზადდა 76 პუბლიკაცია (რაც 17 %-ით მეტია 2013 წელთან შედარებით);
- გავრცელდა 134 პრეს-რელიზი;
- საქსტატიდან წერილობით გასულია 2059 ერთეული სტატისტიკური ინფორმაცია;
- საქსტატის ვებ-გვერდით ისარგებლა 353 271 მომხმარებელმა (რაც 7%-ით მეტია 2013 წელთან შედარებით).

2014 წელს საქსტატმა გამოსცა და გაავრცელა 4 კვარტალური და 9 წლიური პუბლიკაცია.

2014 წელს ისევე როგორც გასულ წლებში საქსტატი აქტიურად თანამშრომლობდა სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებთან. 2014 წელს ჩატარდა ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი პროექტი მოსახლეობის საყოველთაო აღწერა. საქსტატმა მომხმარებლებთან დიალოგი ძირითადად აღწერის მიმართულებით წარმართა. ამ მიზნით საქსტატმა ჩატარა 50-მდე აქტივობა სხვადასხვა სოციალური აქციის, ტელე-ეთერის, ბრიფინგებისა და შეხვედრების სახით.

წლის განმავლობაში რეგულარულად მიმდინარეობდა შეხვედრები სხვადასხვა სამთავრობო, არასამთავრობო, ბიზნესისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ჩატარდა გენდერული სტატისტიკის მომხმარებლებთან შეხვედრა.

მონაცემთა გავრცელების ვადები შემცირდა შემდეგი მიმართულებით:

* პუბლიკაცია "საქართველოს სოფლის მეურნეობა" გამოქვეყნდა 2 კვირით ადრე წინა წელთან შედარებით;

* სოფლის მეურნეობის სტატისტიკის წინასწარი მონაცემები გამოქვეყნდა 10 დღით ადრე წინა წელთან შედარებით;

კვლევების მეთოდების დახვეწა და ხარისხის გაუმჯობესება

გამოკვლევის თანამედროვე მეთოდების დანერგვა და ხარისხის გაუმჯობესება საქსტატის მუდმივ, გრძელვადიან და მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს.

2014 წელს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა კვლევების მეთოდების დახვეწისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით განახორციელა რიგი ღონისძიებები, როგორცაა:

❖ სპეციალური სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების მონაცემები დამუშავდა საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის მეთოდოლოგიის შესაბამისად და განახლდა 2011-2014 წლების იმპორტის მონაცემთა დინამიკური მწკრივები.

❖ დაიწყო მუშაობა საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური მონაცემების დამუშავების სპეციალურ პროგრამაზე, რომელიც ავტომატიზებულს გახდის

მონაცემთა დამუშავების პროცესს და მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ინფორმაციის ხარისხს.

- ❖ 2014 წელს გაუმჯობესდა ბიზნეს რეგისტრის ხარისხი, რის საფუძველზეც განახლდა საწარმოთა გენერალური ერთობლიობა, რამაც შეამცირა დაუკვირვებადი ეკონომიკის წილი.

- ❖ ჩამოყალიბდა ახალი გენერალური ერთობლიობა და გაუმჯობესდა საწარმოთა მოცვის ხარისხი.

- ❖ გაუმჯობესდა ბიზნეს რეგისტრის პროგრამული პროდუქტი.

- ❖ განხორციელდა უძრავი ქონების გამოკვლევა (საველე სამუშაოები, მონაცემთა დამუშავება და ანალიზი)

- ❖ განხორციელდა ბაზრებსა და ბაზრობებზე მოვაჭრე ეკონომიკური სუბიექტების სტატისტიკური გამოკვლევა (საველე სამუშაოები, მონაცემთა დამუშავება და ანალიზი).

- ❖ ჩატარდა ლომბარდების სტატისტიკური გამოკვლევა (მონაცემთა შეგროვება, დამუშავება და ანალიზი), რომლის შედეგებიც გამოყენებულ იქნა ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორების გაანგარიშებისას.

- ❖ ეროვნული ბანკის მოთხოვნის შესაბამისად, განხორციელდა არაფინანსური კორპორაციების ფინანსური მაჩვენებლების შეგროვება, დამუშავება და ანალიზი. გამოკვლევის შედეგები გამოყენებულ იქნა ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორების გაანგარიშების თვალსაზრისით.

- ❖ გაუმჯობესდა ბიზნეს სტატისტიკის გამოკვლევის შერჩევის მეთოდოლოგია.

- ❖ ენერგეტიკის სტატისტიკის განვითარების მიმართულებით განხორციელდა მნიშვნელოვანი სამუშაოები, კერძოდ მეთოდოლოგიის ჩამოყალიბება, კითხვარების შემუშავება, მონაცემთა შეგროვება ენერგეტიკის სექტორიდან და ენერგორესურსების საბოლოო მომხმარებლებიდან. აღნიშნული სამუშაოების შედეგად შემუშავდა სრულყოფილი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ენერგეტიკული ბალანსი.

- ❖ დასრულდა ეკონომიკური საქმიანობის სახეების ახალი კლასიფიკატორის (NACE Rev. 2) დანერგვასთან დაკავშირებული სამუშაოები (NACE -ის კლასიფიკატორის კლასიფიკატორის ახალი ვერსიის შეთანხმება და განხილვა სხვადასხვა სამინისტროებთან და სახელმწიფო დაწესებულებებთან).

- ❖ მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ფარგლებში ჩატარდა სასოფლო-სამეურნეო აღწერა;

- ❖ დაიწყო სოფლის მეურნეობის სტატისტიკის ექსპრეს მონაცემების გავრცელება;

- ❖ განახლდა სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის ბაზა;

- ❖ სოფლის მეურნეობის სტატისტიკის მიმართულებით, საქსტატის საველე პერსონალს ჩაუტარდათ ტრენინგი;

- ❖ გარემოს სტატისტიკის მიმართულებით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, დაიგეგმა თანამშრომლობა შვედეთის სტატისტიკის სამსახურთან და პოლონეთის სტატისტიკის მთავარ სამმართველოსთან;

- ❖ განახლდა შრომის სტატისტიკური გამოკვლევის არასახელმწიფო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების (ააიპ) შერჩევა;

- ❖ საქსტატის ვებ-გვერდზე განახლდა გენდერული სტატისტიკის მონაცემთა მწკრივები (PC-AXIS) სისტემაში.
- ❖ სტატისტიკური საქმიანობის უკეთ კოორდინირებისა და ინფორმაციის გაცვლის მიზნით მემორანდუმები გაფორმდა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, სსიპ შემოსავლების სამსახურთან, სსიპ სერვისების განვითარების სააგენტოსთან.
- ❖ ხარისხის სისტემის დანერგვა-ჩამოყალიბება (ევროსტატის პრაქტიკის კოდექსისა და გაეროს ფუნდამენტური პრინციპების შესაბამისად) სტატისტიკის ეროვნული სისტემის გრძელვადიანი და მნიშვნელოვანი ამოცანაა, ამ მხრივ საქსტატში მეთოდოლოგიური სამუშაოების კოორდინირებისა და ხარისხის მართვის სისტემის სრულყოფის მიზნით 2014 წელს საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის აპარატში შეიქმნა მეთოდოლოგიის და ხარისხის მართვის განყოფილება. სტატისტიკური მონაცემების წარმოების პროცესების სრულყოფის მიზნით დაიწყო საქსტატის დარგობრივ სამმართველოებში ხარისხის უზრუნველყოფის მდგომარეობის შესწავლა. ჩატარებული სამუშაოების შედეგად შემუშავებული იქნება რეკომენდაციები მონაცემთა ხარისხის ამაღლების მიზნით, მომზადდება ხარისხის უზრუნველყოფის აღწერილობები მონაცემთა წარმოების ყველა პროცესისთვის.
- ❖ ქართულ ენაზე ითარგმნა ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსი. ჩამოყალიბდა ხარისხის მართვის საკითხებზე მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებული არიან ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი და სტატისტიკურ მონაცემთა მომწოდებელი სამინისტროების და უწყებების წარმომადგენლები.
- ❖ შვედეთის სტატისტიკის მისიის ფარგლებში დაიწყო იმპორტის და მშენებლობის ფასების ინდექსების გაანგარიშების მეთოდოლოგიური საფუძვლების მომზადება.
- ❖ საქსტატის საბჭომ დაამტკიცა და ვებ-გვერდზე განთავსდა სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო.
- ❖ ეროვნული ანგარიშების სისტემის წარმოებისათვის საჭირო ფორმატით დამუშავდა ინფორმაციის შიდა და გარე წყაროებიდან მოზიდული მონაცემები და მონაცემთა ბაზები, ფორმირებული და გავრცელებული იქნა საბოლოო გამომავალი ცხრილები;
- ❖ განხორციელდა კითხვარების “მონაცემები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის შესახებ” და “მონაცემები დოქტორანტების მომზადების შესახებ” ტირაჟირება და გაიგზავნა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2014-2015 სასწავლო წლის მონაცემების მისაღებად.
- ❖ - დასრულდა უცხოელ ვიზიტორთა კვლევისა და ადგილობრივი შინამეურნეობების ტურიზმის კვლევების მოსამზადებელი სამუშაოები.
- ❖ 2014 წლის განმავლობაში საქსტატის თანამშრომლებს რეგულარულად უტარდებოდათ კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები.

2014 წელს საქსტატში განხორციელებული ცვლილებები ცალკეული სამმართველოების მიხედვით შემდეგია:

ეროვნული ანგარიშების სამმართველო

ეროვნული ანგარიშების საერთაშორისო მეთოდოლოგიის SNA 2008 დანერგვის მიზნით მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები, რომლის შედეგად განხორციელდა:

1. ეროვნული ანგარიშების ზოგიერთი მაჩვენებლის (მშპ მუდმივ ფასებში, შრომის ანაზღაურება, შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების მოხმარება) დინამიკური მწკრივის დაზუსტება;
2. კაპიტალის ანგარიშის ფორმირება მიმდინარე ფასებში;
3. ექსპერიმენტული სექტორული ანგარიშების ფორმირება ფინანსური კორპორაციებისა და შინამეურნეობების სექტორებისათვის;
4. ეროვნული ანგარიშების წარმოების დეტალური მეთოდოლოგიური განმარტებების შემუშავების საწყისი სამუშაოები.

მიმდინარეობდა თანამშრომლობა პოლონეთის სტატისტიკის სამსახურთან, რომლის მიზანი იყო რეგიონული მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების მეთოდოლოგიის სრულყოფა. თანამშრომლობის შედეგად გაუმჯობესდა რეგიონული მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების მეთოდოლოგია.

მიმდინარეობდა და კვლავ გაგრძელდება ფინანსთა სამინისტროსთან ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება. კერძოდ, ეროვნული ანგარიშების სამმართველოში მიმდინარეობს დამატებული ღირებულების გადამხდელთა ბრუნვების შესახებ ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი სექტორულ ჭრილში. ანალიზის შედეგად შესაძლებელი გახდა სტატისტიკური და საგადასახადო დეკლარირების ხარისხის შედარება, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა დაუკვირვებადი ეკონომიკის შეფასებების წარმოება. დამატებული ღირებულების გადამხდელთა ბრუნვების შესახებ ინფორმაცია საფუძვლად უდევს ყოველთვიური ეკონომიკური ზრდის ტენდენციების გაანგარიშებას.

განხორციელდა 2013 წლის შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების დეტალური სტრუქტურის გაანგარიშება, რომლის საფუძველზეც მოხდა სამომხმარებლო კალათაში შემავალი პროდუქტების წონების განახლება.

მომზადდა პუბლიკაცია "საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2013".

ფასების სტატისტიკის სამმართველო

სამომხმარებლო ფასების ინდექსი

- განხორციელდა სამომხმარებლო კალათის წონების განახლება. სამომხმარებლო კალათა შედგება 295 დასახელების საქონლის და მომსახურებისგან, რომელიც შედგენილია ეროვნული ანგარიშებისა და შინამეურნეობების კვლევებიდან მიღებული მოხმარების სტრუქტურის მიხედვით. ასევე, მოხდა ობიექტების

ბაზის განახლება, რის შემდეგაც განხორციელდა ბაზრის გამოკვლევა და სპეციფიკაციების დაზუსტება

- წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ურთიერთთანამშრომლობა და აზრთა გაზიარება საერთაშორისო ექსპერტებთან სამომხმარებლო ფასების ინდექსის მეთოდოლოგიის გაუმჯობესების კუთხით;
- მიმდინარეობდა შვედეთის სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან თანამშრომლობა, მოეწყო ფასების სტატისტიკის სამმართველოს უფროსის სასწავლო ვიზიტით მივლინება შვედეთში. შეხვედრების დროს მოხდა შვედეთის ფასების სტატისტიკაში დანერგილი მეთოდოლოგიისა და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება;

მწარმოებელთა ფასების ინდექსი

- შვედეთის სტატისტიკასთან თანამშრომლობის ფარგლებში საქსტატში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ექსპერტი მწარმოებელთა ფასების ინდექსის მეთოდოლოგიის გაუმჯობესების მიზნით. სამუშაო შეხვედრების დროს მიმდინარეობდა ინდექსის გაანგარიშების ვებ-გვერდზე დაფუძნებულ პროგრამაში გასათვალისწინებელი საკითხების განხილვა; განხორციელდა საწარმოების განახლებული ბაზის შერჩევა და წონების გაანგარიშება სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა, სატვირთო გადაზიდვების, მშენებლობისთვის შეძენილი მასალებისა და ექსპორტის ფასების ინდექსებისთვის.

ექსპორტის და მშენებლობის ფასების ინდექსების და საცდელი გაანგარიშება

2014 წლის განმავლობაში განხორციელდა ექსპორტის და მშენებლობის ფასების ინდექსების საცდელი გაანგარიშების მოსამზადებელი სამუშაოები.

საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის სამმართველო

- დამუშავდა სპეციალური სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების მონაცემები საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის მეთოდოლოგიის შესაბამისად და მოხდა 2011-2013 წლების იმპორტის მონაცემების დინამიკური მწკრივები;
- განახლდა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკური გამოკვლევისათვის შერჩეულ საწარმოთა ნუსხა საჯარო რეესტრის ინფორმაციის საფუძველზე;
- განახლდა და დაიხვეწა ელექტრონული კითხვარების მონაცემთა ლოგიკური და არითმეტიკული კონტროლის ერთიანი სისტემა;
- აქტიურად მიმდინარეობდა ურთიერთთანამშრომლობა ენერგეტიკის სამინისტროსთან ენერგეტიკის სფეროს საწარმოთა მიერ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკური გამოკვლევის კითხვარების სრულყოფილად შევსების, მათი მხრიდან გამოპასუხების გაზრდისა და მათ

მიერ მოწოდებული ინფორმაციის მნიშვნელობისა და აქტუალობის გაცნობის მიმართულებით;

- საქსტატის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებისა და ინტერვიუერებისთვის ჩატარდა ტრენინგი, როგორც სავალე სამუშაოების განხორციელების, ისე კითხვარების სრულყოფილად და სწორად შევსების მიმართულებით;
- მიმდინარეობდა მუშაობა საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა დამუშავების სპეციალური პროგრამის შექმნაზე;
- დასრულდა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის (HS 2012) 6 ნიშნა კოდების კლასიფიკატორის დამუშავება;
- ვებ-გვერდზე განთავსდა საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა დინამიკური მწკრივები 6 ნიშნა სასაქონლო კოდების დონეზე 2000 წლიდან;
- განახლდა რეპორტირების სისტემა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ დამატებითი რეპორტებით;
- მომზადდა პუბლიკაცია “საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2013”.

ბიზნეს სტატისტიკის სამმართველო

- გაუმჯობესდა ბიზნეს რეგისტრის აქტუალიზაციის სისტემა;
- ჩამოყალიბდა ახალი გენერალური ერთობლიობა და გაუმჯობესდა საწარმოთა მოცვის ხარისხი;
- გაუმჯობესდა ბიზნეს სტატისტიკის გამოკვლევის შერჩევის მეთოდოლოგია;
- განხორციელდა სამუშაოები ეკონომიკური საქმიანობის სახეების ახალ კლასიფიკატორზე (NACE REV.2) გადასვლასთან დაკავშირებით.
- ბიზნეს სტატისტიკის გამოკვლევის ინტერვიუერებს ყველა რეგიონში ჩაუტარდათ ტრენინგები;
- მომზადდა პუბლიკაცია “მეწარმეობა საქართველოში, 2014”;
- სამმართველოს თანამშრომლებმა გაიარეს ტრენინგი სხვადასხვა სფეროში (შერჩევის მეთოდოლოგია, ბიზნეს რეგისტრი, ენერგეტიკის სტატისტიკა)
- დამატებით მოპოვებული იქნა და დამუშავდა ინფორმაცია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ძირითადი მაჩვენებლების შესახებ (ნატურალურ გამოსახულებაში);
- დამატებით მოპოვებული იქნა და დამუშავდა ინფორმაცია მუნიციპალიტეტების დაქვემდებარებაში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების საერთო სიგრძის შესახებ;
- განხორციელდა ბაზრებისა და ბაზრობებზე მოვაჭრე ეკონომიკური სუბიექტების სტატისტიკური გამოკვლევა (სავალე სამუშაოები, მონაცემთა დამუშავება და ანალიზი).
- განხორციელდა უძრავი ქონების გამოკვლევა (სავალე სამუშაოები, მონაცემთა დამუშავება და ანალიზი)
- ჩატარდა ლომბარდების სტატისტიკური გამოკვლევა (მონაცემთა შეგროვება, დამუშავება და ანალიზი), რომლის შედეგებიც გამოყენებულ იქნა ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორების გაანგარიშებისას.

- ეროვნული ბანკის მოთხოვნის შესაბამისად, განხორციელდა არაფინანსური კორპორაციების ფინანსური მაჩვენებლების შეგროვება, დამუშავება და ანალიზი. გამოკვლევის შედეგები გამოყენებულ იქნა ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორების გაანგარიშების თვალსაზრისით.
- ენერგეტიკის სტატისტიკის განვითარების მიმართულებით განხორციელდა მნიშვნელოვანი სამუშაოები, კერძოდ მეთოდოლოგიის ჩამოყალიბება, კითხვარების შემუშავება, მონაცემთა შეგროვება ენერგეტიკის სექტორიდან და ენერგორესურსების საბოლოო მომხმარებლებიდან. აღნიშნული სამუშაოების შედეგად შემუშავდა სრულყოფილი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ენერგეტიკული ბალანსი.
- მომზადდა სტატისტიკური პუბლიკაცია "საქართველოს ენერგეტიკული ბალანსი"

სოციალური სტატისტიკის სამმართველო

- განხორციელდა “ჯანდაცვის მომსახურების უტილიზაციისა და დანახარჯების კვლევა შინამეურნეობებში, III რაუნდი” კვლევის საველე სამუშაოები, მონაცემთა ბაზის გაწმენდა და ფორმირება. კვლევისას გამოიკითხა 3168 შინამეურნეობა. აღნიშნული კვლევა მოიცავდა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებულ შემდეგ საკითებს: შინამეურნეობის წევრთა ჯანმრთელობა, ადგილობრივი ჯანდაცვის დაწესებულებები, ჯანდაცვის მომსახურება და ჯანმრთელობის დაზღვევა, საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა, თამბაქოსა და ალკოჰოლის მოხმარება, ავადმყოფობები, მომსახურებები და ჯანდაცვის ხარჯები, ჰოსპიტალიზაცია. კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება სამინისტროს მიერ საქართველოში ჯანდაცვის სფეროში განხორციელებული ცვლილებებისა და არსებული მდგომარეობის შეფასებისთვის.
- განხორციელდა “მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის გადახედვა” კვლევის საველე სამუშაოები, მონაცემთა ბაზის გაწმენდა და ფორმირება. კვლევისას გამოიკითხა 3467 შინამეურნეობა. კვლევის შედეგები გამოყენებულია სამინისტროს მიერ მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში არსებული მეთოდოლოგიის გადასინჯვისთვის.

შინამეურნეობათა გამოკვლევების განყოფილება

- შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზის გაწმენდის და დამუშავების სრულყოფის მიზნით მიმდინარეობდა მუშაობა დეტალური ინსტრუქციების დასრულებაზე, აგრეთვე, კვარტალებს შორის კონტროლებისა და მონაცემთა ბაზის იმპუტაციის მეთოდების დახვეწაზე;

- დასრულდა შინამეურნეობის ინტეგრირებული გამოკვლევის წინა წლების კითხვარების თარგმნა და შესაბამისი პერიოდის მონაცემთა ბაზების დაქდევნა (2002-2013).
- განხორციელდა ინტერნეტში განთავსებული მონაცემთა ბაზების სრულყოფა, მონაცემთა ბაზის ველების აღწერილობისა და შესაბამისი პერიოდის კითხვარების მიმაგრება.
- განხორციელდა შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის კითხვარების (შინდა 02, შინდა 05) კორექტირება. კერძოდ:
 - როგორც შინდა 02-ში, ასევე შინდა 05-ში შეიცვალა დაზღვევის ტიპები, რაც შესაძლებელს გახდის დაზუსტდეს მოსახლეობის წილი, რომელიც სარგებლობს სხვადასხვა სახის დაზღვევით;
 - როგორც შინდა 02-ში, ასევე შინდა 05-ში დაემატა კითხვა კომპიუტერის მომხმარებლების შესახებ, რაც საშუალებას იძლევა გაანგარიშდეს მოსახლეობის წილი რომელიც საარგებლობს კომპიუტერით;
 - როგორც შინდა 02, ასევე შინდა 05-ში შეიცვალა ინტერნეტ მომხმარებლების გაანგარიშებისათვის გამოყენებული საანგარიშო პერიოდი. აღნიშნული ცვლილება საშუალებას იძლევა მოხდეს ინტერნეტ მომხმარებლების რაოდენობის გაანგარიშება ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო გაერთიანების მეთოდოლოგიასთან შესაბამისობაში.
- განახლდა და დაიხვეწა მონაცემთა ლოგიკური კონტროლების სისტემა.

შრომის სტატისტიკის განყოფილება

- მიმდინარეობდა და 2015 წელსაც გაგრძელდება თანამშრომლობა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, “შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის დანერგვისა და განვითარების კონცეფციის” და “საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის” რეალიზაციის 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმასთან და მის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- განახლდა შრომის სტატისტიკური გამოკვლევის არასახელმწიფო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების (ააიპ) შერჩევა;
- მომზადდა 2012-2013 წლის შრომის სტატისტიკის მონაცემები შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ვებ-გვერდზე განსათავსებლად.

სოციალური ინფრასტრუქტურის განყოფილება

- საქსტატის ვებ-გვერდზე განახლდა გენდერული სტატისტიკის მონაცემთა მწკრივები (PC-AXIS) სისტემაში.
- იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტისთვის მომზადდა და გაეგზავნა 2012 წლის განათლების სტატისტიკური მონაცემები;

- ბოლონის პროცესის მონაცემთა შეგროვების ჯგუფს გაეგზავნა განათლების სტატისტიკური მონაცემები.

ტურიზმის კვლევების განყოფილება

- დაინერგა ადგილობრივი შინამეურნეობების ტურიზმის კვლევა (მომზადდა კითხვარი და კითხვარის შევსების ინსტრუქცია, განხორციელდა კვლევის საველე სამუშაოები, შეიქმნა საველე სამუშაოების შედეგად მოზიდული მასალის კომპიუტერში ჩაწერის პროგრამა, შეიქმნა მონაცემთა ლოგიკური კონტროლების პროგრამა, გაიწმინდა და დამუშავდა გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, გამოქვეყნდა 2014 წლის II და III კვარტალების ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებლები).
- დაინერგა უცხოელ ვიზიტორთა კვლევა (მომზადდა კითხვარი და კითხვარის შევსების ინსტრუქცია, განხორციელდა კვლევის საველე სამუშაოები, შეიქმნა საველე სამუშაოების შედეგად მოზიდული მასალის კომპიუტერში ჩაწერის პროგრამა, შეიქმნა მონაცემთა ლოგიკური კონტროლების პროგრამა, გაიწმინდა და დამუშავდა გამოკვლევის მონაცემთა ბაზა);

მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიის სამმართველო

- მომზადდა სტატისტიკური კრებული “დემოგრაფიული ვითარება საქართველოში 2014”.
- მომზადდა 2013 წლის დემოგრაფიული მაჩვენებლები (დაბადება, გარდაცვალება, ქორწინება, განქორწინება, მოსახლეობის რიცხოვნობა, სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობა, მიგრაციული სალდო და სხვა).

სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის სამმართველო

- მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ფარგლებში ჩატარდა სასოფლო-სამეურნეო აღწერა;
- ტრენინგი ჩატარდა აღწერის საველე პერსონალს მეთოდოლოგიასთან და კითხვარების შევსებასთან დაკავშირებით;
- შემუშავდა და დამტკიცდა სასოფლო-სამეურნეო აღწერის “კითხვარი სოფლის მეურნეობის შესახებ” (ფორმა №4) და მისი შევსების ინსტრუქცია;
- მომზადდა პროგრამა სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემების (ფორმა №4) კომპიუტერში ჩაწერისათვის;
- მომზადდა სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემთა ბაზის გაწმენდის კონტროლები და შესაბამისი ინსტრუქციები;
- შემუშავდა სასოფლო-სამეურნეო აღწერის გამომავალი ცხრილების მომზადების პროგრამის სამუშაო ვერსია;
- იურიდიული პირების სასოფლო-სამეურნეო აღწერისათვის შემუშავდა ონლაინ (და ნაბეჭდი) კითხვარების სამუშაო ვერსია;

- შემუშავდა ონლაინ კითხვარის შევსების ინსტრუქციის სამუშაო ვერსია იურიდიული პირების სასოფლო-სამეურნეო აღწერისათვის;
- მომზადდა იურიდიული პირების სასოფლო-სამეურნეო აღწერის ონლაინ კითხვარისათვის კონტროლების სისტემა;
- შემუშავდა იურიდიული პირების ნუსხის სამუშაო ვერსია იურიდიული პირების სასოფლო-სამეურნეო აღწერისათვის;
- სასოფლო-სამეურნეო აღწერიდან მიღებული შედეგების გაანალიზების მიზნით, დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, მომზადდა სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის დასკვნითი გამოკითხვის კითხვარის დანართი და მისი შევსების ინსტრუქცია;
- პუბლიკაცია "საქართველოს სოფლის მეურნეობა" გამოქვეყნდა 2 კვირით ადრე წინა წელთან შედარებით;
- სოფლის მეურნეობის სტატისტიკის წინასწარი მონაცემები გამოქვეყნდა 10 დღით ადრე წინა წელთან შედარებით;
- დაიწყო სოფლის მეურნეობის სტატისტიკის ექსპრეს მონაცემების გავრცელება;
- განახლდა სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის მოკლე აღწერის ქართული და ინგლისური ვერსიები ვებსაიტისათვის;
- ვებგვერდზე განახლდა სოფლის მეურნეობის სტატისტიკასთან დაკავშირებული ცხრილები და დიაგრამები ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- ვებგვერდზე განახლდა სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ცხრილები ქართულ და ინგლისურ ენებზე
- განახლდა PC Axis-ის ელექტრონული ცხრილების ქართული და ინგლისური ვერსიები;
- სასურსათო ბალანსების წარმოებაში გათვალისწინებული იქნა გაეროს მეთოდოლოგიური და ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციები FAO-ს სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად;
- სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის შერჩევის ბაზის სრულყოფის მიზნით განხორციელდა ბაზის განახლება ქვეყანაში მოქმედი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და მსხვილი ოჯახური მეურნეობების საფუძველზე;
- გაუმჯობესდა სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის ბაზის მონაცემთა ლოგიკური კონტროლების სისტემა;
- მიმდინარეობდა ინტენსიური სამუშაო შეხვედრები აშშ-ს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის ექსპერტებთან სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევისა და სასოფლო-სამეურნეო აღწერის საკითხებთან დაკავშირებით;
- მიმდინარეობდა ინტენსიური შეხვედრები სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის მომხმარებლებთან მათთვის საინტერესო ინფორმაციის მოპოვების, დამუშავებისა და გავრცელების საკითხებზე;
- აშშ-ს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის ექსპერტებისა და საქსტატის თანამშრომელთა მონაწილეობით ჩატარდა სავლეთ პერსონალის ტრენინგი;
- მომზადდა პუბლიკაცია "საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა 2013", ქართული და ინგლისური ვერსიები;

- ვებგვერდზე განახლდა გარემოს დაცვის სტატისტიკასთან დაკავშირებული ცხრილები და დიაგრამები ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- გარემოს ინდიკატორები გავრცელდა PC-Axis ინგლისურ ენაზე;
- შვედეთის სტატისტიკის მისიის ფარგლებში მომზადდა გარემოს სტატისტიკის მიმართულებით არსებული მდგომარეობის შეფასების დოკუმენტი;
- გარემოს სტატისტიკის მიმართულებით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, დაიგეგმა თანამშრომლობა შვედეთის სტატისტიკის სამსახურთან და პოლონეთის სტატისტიკის მთავარ სამმართველოსთან;

ინფორმაციული ტექნოლოგიების სამმართველო

- შეიქმნა მოსახლეობის საყოველთაო აღწერის კითხვარების შეყვანის პროგრამა, მონაცემთა ბაზების სტრუქტურა, დაიწყო მუშაობა რეპორტების მომზადებაზე;
- გაიმართა კომპიუტერული, ქსელური და სერვერული ინფრასტრუქტურა წყნეთის ოფისში;
- შეიქმნა „ადგილობრივი შინამეურნეობების ტურიზმის კვლევის“ პროგრამული მოდული;
- შეიქმნა უცხოელ ვიზიტორთა კვლევის მოდული.
- შეიქმნა მშენებლობის და ენერგეტიკის კვლევის მოდული;
- დასრულდა სამომხმარებლო ფასების ინდექსის (CPI) პროგრამული პროდუქტი;
- შეიქმნა მწარმოებელთა ფასების ინდექსის (PPI) პროგრამა;
- დაინერგა საქსტატის ფინანსური და მატერიალური აქტივების აღრიცხვისა და კადრების აღრიცხვის პროგრამა;
- დაიწყო მუშაობა სასოფლო მეურნეობათა აღწერის პროგრამაზე.

სტატისტიკური გამოკვლევების აქტიური მონიტორინგი

2014 წელს, მსგავსად წინა წლებისა, საქსტატში გაგრძელდა აქტიური შიდა აუდიტორული საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავდა თანამშრომლების (მათ შორის-ინტერვიუერების) მუშაობის ხარისხის შემოწმებას. გაწეული მუშაობის შედეგები საშუალებას იძლევა შეფასდეს როგორც საკუთრივ თანამშრომელთა, ასევე გამოკვლევათა ინტერვიუერების მიერ შესრულებული სავსე სამუშაოების ხარისხი, საჭიროების შემთხვევაში კი - გადახალისდეს ინტერვიუერთა ქსელი.

2014 წლის პერიოდში საქსტატის შიდა აუდიტის სამმართველომ სამუშაოები განახორციელა 3 ძირითადი მიმართულებით. კერძოდ:

- საქსტატის მიერ წარმოებული გამოკვლევების სავსე სამუშაოების მონიტორინგი;
- საქსტატის სტრუქტურული ერთეულების შიდა აუდიტორული შემოწმება;

• 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო და სასოფლო-სამეურნეო აღწერის პროცესის მონიტორინგი.

საქსტატის შიდა აუდიტის სამმართველოს მიერ აუდიტორული შემოწმების და მონიტორინგის კუთხით 2014 წელს განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

I. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ფასების სტატისტიკის სამმართველოს აუდიტორული შემოწმება, აგრეთვე საველე სამუშაოების მონიტორინგი. საველე სამუშაოების მონიტორინგი განხორციელდა ქ.თბილისში და ქ.გორში;

II. „Akademic Swiss Caucasus Network“-სა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს შორის, საქართველოში მეწარმეობის აღმოცენებისა და განვითარების შესახებ 2013 წლის 4 ივნისს გაფორმებული №6 მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდა ჩატარებული გამოკვლევის მონიტორინგი (მეორე და მესამე რაუნდი), რომელიც მიზნად ისახავდა ინტერვიუერთა მიერ ჩატარებული საველე სამუშაოების ხარისხის შემოწმებას. გამოკვლევის ობიექტებს წარმოადგენდნენ: თვითდასაქმებულები, მიკრო მეწარმეები და მცირე მეწარმეები. მონიტორინგმა მოიცვა როგორც ქ. თბილისი, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და კახეთის რეგიონები (ბიზნეს სტატისტიკის სამმართველო);

III. გაეროს ბავშთა ფონდთან (UNICEF) და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან 2013 წლის 16 დეკემბერს ხელმოწერილი საგრანტო ხელშეკრულების შესაბამისად, განხორციელდა „საქსტატის“ სოციალური სტატისტიკის სამმართველოს მიერ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად ჩატარებული კვლევის (რომლის მიზანს წარმოადგენდა ღარიბი შინამეურნეობების იდენტიფიკაციის არსებული მეთოდის ტესტირება შეცვლილი რეალობის გათვალისწინებით) საველე სამუშაოების შემდგომი მონიტორინგი. მონიტორინგმა მოიცვა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონი, აგრეთვე ქ. თბილისი;

IV. სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის სამმართველოს მიერ წარმოებული სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის I (მოიცვა შიდა ქართლის, სამეგრელო-ზემო სვანეთის და გურიის რეგიონების მუნიციპალიტეტები) და მე-II კვარტლის საველე სამუშაოების მონიტორინგი;

V. 2014 წლის 28 აპრილიდან 20 მაისამდე პერიოდში 2013 წლის IV კვარტალის შედეგების მიხედვით განხორციელდა ბიზნეს სტატისტიკის სამმართველოს მიერ საქართველოს ყველა რეგიონიდან მოზიდული კითხვარების მონიტორინგი. უნდა აღინიშნოს, რომ კითხვარები შევსებული იყო ინსტრუქციით დაშვებული ყველა შესაძლო ფორმით, მათ შორის: ონლაინ რეჟიმით, ელ. ფოსტით, სატელეფონო საუბრის შედეგად და ინტერვიუერების ადგილზე მისვლით;

VI. 2014 წლის 20 მაისიდან 15 ივლისის ჩათვლით განხორციელდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის სამმართველოს აუდიტორული შემოწმება, აგრეთვე საველე სამუშაოების (უარყოფითი სტატუსები) მონიტორინგი. შემოწმება შეეხო 2013 წელს და 2014 წლის I კვარტალს;

VII. 2014 წლის 5-დან 19 ნოემბრის ჩათვლით ჩატარდა საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო და სასოფლო-სამეურნეო აღწერა. ხოლო შიდა აუდიტის სამმართველომ, 2014 წლის 11 ნოემბრიდან 9 დეკემბრის ჩათვლით განახორციელა

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო და სასოფლო-სამეურნეო აღწერის პროცესის მონიტორინგი. მონიტორინგის დროს ძირითადი ყურადღება გამახვილებული იყო აღმწერების საცხოვრისებში მისვლაზე, მათ მიერ სასოფლო-სამეურნეო აღწერის კითხვარში დაფიქსირებული კითხვების სრულყოფილად შევსებაზე და აღმწერების აღწერის შესაბამისი ლოგოებით ეკიპირებაზე (კეპი, ჩანთა, ბეიჯი). ყურადღება გამახვილებული იყო აგრეთვე ცხელ ხაზზე შემოსულ განცხადებებზე. აღსანიშნავია, რომ აღწერის პროცესის მონიტორინგმა მოიცვა სრულიად საქართველო, გარდა არაკონტროლირებადი ტერიტორიებისა (აფხაზეთის ა/რ; ცხინვალის რეგიონი);

VIII. შემოწმდა საქსტატის ქუთაისის, ბათუმის და ფოთის სამმართველოებში მიმდინარე საკითხებთან ერთად დისციპლინის კუთხით არსებული მდგომარეობა (15-21 ივლისი).

მთლიანობაში, გაკონტროლებულ ინტერვიუერთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 267 კაცი, ხოლო ველზე გადამოწმებული მისამართების რაოდენობამ - 597. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო და სასოფლო-სამეურნეო აღწერის პროცესის მონიტორინგის დროს 9361 აღმწერს გადაუმოწმდა მინიმუმ ერთი მისამართი.

საერთაშორისო თანამშრომლობა

საქსტატი ყველა ძირითად სტატისტიკურ გამოკვლევაში ხელმძღვანელობს საერთაშორისო მეთოდოლოგიით. იმისთვის რომ სხვადასხვა ქვეყნების სტატისტიკური მონაცემები იყოს ურთიერთშედარებადი, აუცილებელია ყველა ქვეყანა ერთი მეთოდოლოგიით ხელმძღვანელობდეს. საერთაშორისო მეთოდოლოგიები ძირითადად დგინდება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ (ევროსტატი, გაერო, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია და სხვა). ამიტომ, „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სტატისტიკის წარმოება და მისი წარმოების შედეგად მიღებული ინფორმაციის გავრცელება უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებსა და გამოცდილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქსტატი აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ცალკეული ქვეყნების სტატისტიკის სამსახურებთან. 2014 წელი, ისევე როგორც გასული წლები საკმაოდ წარმატებული იყო საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებითაც. სტატისტიკის დეპარტამენტი წარსულშიც იღებდა საკმაოდ დიდ ფინანსურ თუ ტექნიკურ დახმარებას, მაგრამ საქსტატის დამოუკიდებელ სამსახურად ჩამოყალიბებამ კიდევ უფრო აქტიური გახადა ეს პროცესი. გააქტიურდა თანამშრომლობა როგორც დონორ ორგანიზაციებთან, ისე ორმხრივი თანამშრომლობა სხვადასხვა ქვეყნების სტატისტიკურ სამსახურებთან. გამოვეყოფთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა ქვეყნების სტატისტიკურ სამსახურებთან თანამშრომლობის რამდენიმე მნიშვნელოვან აქტივობას:

- 2014 წელს საქსტატი აქტიურად მონაწილეობდა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული სამოქმედო გეგმის შესრულების უზრუნველყოფაში.

სამოქმედო გეგმის შესრულების ნაწილში საქსტატს ხუთ საკითხზე აქვს ვალდებულება აღებული - მოსახლეობის აღწერის ჩატარება, რომელიც მოიცავს სოფლის მეურნეობის კომპონენტს, „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის გადახედვა, ეკონომიკური საქმიანობების ეროვნული ნომენკლატურის (NACE) დამტკიცება, მონაცემთა გავრცელების თანამედროვე მეთოდების დანერგვა/გაუმჯობესება და საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის სფეროს შემდგომი გაუმჯობესება.

2014 წელს სამოქმედო გეგმის ხუთივე პუნქტი შესაბამისად განხორციელდა. ჩატარდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერის სავსე სამუშაოები (სოფლის მეურნეობის კომპონენტის ჩათვლით). მომზადდა „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებები და გაიგზავნა საქართველოს მთავრობაში შესათანხმებლად. მომზადდა ეკონომიკური საქმიანობების ეროვნული ნომენკლატურა, რომლის დამტკიცებაზე მიმდინარობს მუშაობა. მონაცემთა გავრცელების თანამედროვე მეთოდების დანერგვა/გაუმჯობესების მხრივ 2014 წელს საქსტატმა ინფორმაციის გავრცელების

კიდევ ერთ ახალ მეთოდზე დაიწყო მუშაობა, კერძოდ: სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებელს საქსტატის საიტზე შეუძლია გამოიწეროს სიახლეები, რომელიც გამოქვეყნებისთანავე ელექტრონულად მიეწოდება სასურველ მეილზე, ქართულ და ინგლისურ ენებზე. ინფორმაციის მისაღებად საჭიროა მომხმარებელი დარეგისტრირდეს საქსტატის ვებ-გვერდზე (www.geostat.ge) "გამოიწერეთ სიახლეები" ველში (სიახლე უკვე ამოქმედდა 2015 წლის იანვრიდან). დასრულდა სპეციალური საბაჟო დეკლარაციის მონაცემების ხარისხობრივი კონტროლი და დამუშავება. ინფორმაცია აისახა საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემებში, რაც გათვალისწინებული იყო სამოქმედო გეგმის მეხუთე პუნქტით - საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის სფეროს შემდგომი გაუმჯობესება.

- 2014 წელს ჩატარდა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის მე-2 პლატფორმის, მე-12 შეხვედრა - "ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკასთან შესაბამისობა", სადაც სხვა საკითებთან ერთად, ევროსტატის ინიციატივით განიხილეს და დაარსდა სტატისტიკის პანელი. სტატისტიკის პანელის დამატება გულისხმობს სტატისტიკის ექსპერტთა ჯგუფის (კომისიის) შექმნას, რომელიც მიზნად ისახავს ინფორმაციის, გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის დინამიურ გაცვლას ევროკავშირის ინსტიტუტებსა და წევრი ქვეყნების წარმომადგენლებსა და აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორი ქვეყნების მონაწილეებს შორის. აქცენტი გაკეთდება პარტნიორ ქვეყნებში ეროვნული სტატისტიკური სისტემების განვითარებასა და საერთაშორისო სტანდარტებთან და ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებაზე სტატისტიკის სხვადასხვა სფეროებში. ამ მიზნით სტატისტიკის კომისია გააძლიერებს სტატისტიკის ძირითად მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის დიალოგს; სტატისტიკის კომისიის შეხვედრები გაიმართება ექსპერტების დონეზე. ექსპერტთა ჯგუფი (კომისია) შეიკრიბება მინიმუმ წელიწადში ორჯერ. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში სტატისტიკური უწყებებისათვის, ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში დაიწყება ახალი, უმნიშვნელოვანესი ეტაპი, რომელიც სრულად მოიცავს სტატისტიკის წარმოების ყველა ეტაპს და უზრუნველყოფს პარტნიორ ქვეყნებში სტატისტიკური მონაცემების ხარისხის გაუმჯობესებასა და ევროსტანდარტებთან ჰარმონიზაციას.

- საქსტატის და შვედეთის სტატისტიკის 3-წლიანი პროექტის ფარგლებში 2014 წლის განმავლობაში განხორციელდა შვედეთის სტატისტიკის 16 მისია და საქსტატის თანამშრომლების 4 სასწავლო ვიზიტი შვედეთში. სასწავლო ვიზიტები განხორციელდა შემდეგი თემატიკის მიხედვით: ფასების სტატისტიკა, სტატისტიკური მეთოდოლოგია და ხარისხის მართვა, მენეჯმენტი. საქსტატის თანამშრომლები დაესწრნენ ორებროს უნივერსიტეტში ორგანიზებულ საზაფხულო სკოლის ტრენინგს მრავალდონიან სტატისტიკური ანალიზის შესახებ. მთლიანად, მივლინებებში მონაწილეობა მიიღო საქსტატის თერთმეტმა თანამშრომელმა. შვედეთის სტატისტიკის მისიები კი შემდეგ სფეროებში განხორციელდა: მონაცემთა გავრცელება, ბიზნეს სტატისტიკის შერჩევა, სტატისტიკური პროდუქტის ხარისხის მართვა, ფასების სტატისტიკა, ბიზნეს რეგისტრი, ეროვნული ანგარიშები, ინდექსის თეორია, სტატისტიკური მეთოდოლოგია, ეროვნული ანგარიშები, დროის ანგარიშგების სისტემა, ტურუზმის სტატისტიკა და გენდერის სტატისტიკა. პროექტი მთლიანად

დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) მიერ. პროექტის ფარგლებში მომზადდა გარემოს სტატისტიკის, ბიზნეს სტატისტიკის, ფასების სტატისტიკის, ეროვნული ანგარიშების, გენდერის სტატისტიკისა და ტურიზმის სტატისტიკის მიმართულელების არსებული მდგომარეობის შეფასების დოკუმენტები.

- ამერიკის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტთან თანამშრომლობის ფარგლებში ტრენინგები ჩაუტარდა სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის საველე პერსონალს.

- 2014 წლის განმავლობაში გრძელდებოდა თანამშრომლობა ამერიკის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტთან.

- 2014 წელს მიმდინარეობდა თანამშრომლობა პოლონეთის სტატისტიკის სამსახურთან რეგიონული ანგარიშებისა და რეგიონული სტატისტიკის განვითარების მიზნით. პროექტის ფარგლებში, 2014 წლის აგვისტოში შედგა საქსტატის თანამშრომლების სასწავლო ვიზიტი პოლონეთში, ხოლო დეკემბერში შედგა პოლონელი ექსპერტების ვიზიტი საქსტატში. პროექტის შედეგად, საქსტატმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა რეგიონული ანგარიშების წარმოების ხარისხი. წლის ბოლოს მიღწეულ იქნა შეთანხმება 2015 წელს პროექტის გაგრძელების შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს გარემოს სტატისტიკის წარმოების ხარისხის ამაღლებას.

- 2014 წლის ნოემბერში საქსტატში იმყოფებოდა ავსტრიის სტატისტიკის სამსახურის ექსპერტი. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა უცხოელ ვიზიტორთა და ადგილობრივი შინამეურნეობების ტურიზმის კვლევების მეთოდოლოგიური საკითხების შეფასება და სრულყოფა. 2015 წელს განხორციელდება დამატებით ერთი მისია.

- 2014 წელს საქსტატმა მონაწილეობა მიიღო ევროსტატის მიერ ორგანიზებულ ევროპის სტატისტიკოსების და სხვა საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებსა და შეხვედრებში.

- გაეროს მოსახლეობის ფონდმა (UNFPA), მოსახლეობის საყოველთაო აღწერის სრულყოფილად განხორციელების მიზნით, საქსტატს შვედეთის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსებით გამოუყო 1.2 მლნ აშშ დოლარი, რომელიც ძირითადად მიმართული იყო მულტი-მედია კამპანიის განხორციელებისათვის, აღწერის კითხვარების ბეჭდვისა და ლოკალური ზედამხედველების შრომის ანაზღაურებისათვის.

- საქსტატის თანამშრომლებისთვის განხორციელდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ ორგანიზებული ტრენინგი - გენდერულ ჭრილში ხელფასებს შორის თანაფარდობის გაანგარიშება (Gender Wage Gap in Georgia).

გეგმები 2015 წლისთვის

ბოლოს შეიძლება ვისაუბროთ იმ გეგმებზე, რომლებიც საქსტატმა 2015 წლისთვის დასახა. საქსტატი სხვადასხვა მიმართულებითაც აქტიურად აპირებს მუშაობას, კერძოდ:

- ❖ სტატისტიკის სხვა მწარმოებლებთან კოორდინაციის გაუმჯობესება, მონაცემთა გაცვლა და თანამშრომლობის გაღრმავება;
- ❖ მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემების დამუშავება, წინასწარი მონაცემების გამოქვეყნება;
- ❖ სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემების დამუშავება, წინასწარი მონაცემების გამოქვეყნება;
- ❖ ახალი პროგრამული პროდუქტების განვითარება, ინფორმაციული უსაფრთხოების, კვლევების, მონაცემთა დამუშავების და გავრცელების თანამედროვე მეთოდების დანერგვა;
- ❖ მუდმივი დიალოგი სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებთან;
- ❖ აქტიური საერთაშორისო თანამშრომლობა;
- ❖ სტატისტიკური კვლევების მუდმივი მონიტორინგი;
- ❖ საწარმოთა წლიური გამოკვლევის შერჩევის მოცულობის გაზრდა და ბიზნეს სტატისტიკის წარმოება მუნიციპალიტეტების მიხედვით;
- ❖ სამაცივრე, სასაკლავო მეურნეობებისა და ელევატორების პილოტური გამოკვლევის განხორციელება;
- ❖ შრომის სტატისტიკოსების მე-19 საერთაშორისო კონფერენციაზე მიღებული რეზოლუციის და შრომის მიმართულებით სხვა მეთოდოლოგიური სიახლეების განხილვა მისი შემდგომი დანერგვისათვის სამუშაო ძალის გამოკვლევაში;
- ❖ ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორის NACE REV.2-ის დანერგვა სტატისტიკურ კვლევებში;
- ❖ განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის 2011 წლის ვერსიაზე მუშაობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად;
- ❖ „ქალი და კაცი საქართველოში 2015“ პუბლიკაციის მომზადება და გავრცელება;
- ❖ განხორციელდება გენდერულ ჭრილში აქტივების მფლობელობის შეფასების კვლევა და კვლევის საერთაშორისო მეთოდოლოგიის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;
- ❖ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის წარმოება რეგიონულ ჭრილში;
- ❖ მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება დანახარჯების მეთოდით მუდმივ ფასებში;
- ❖ სასოფლო-სამეურნეო აღწერა იურიდიული პირებისათვის - ჩატარება და მონაცემების დამუშავება;